

**საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები
ფიზიკური პირებისთვის**

1. ტერმინთა განმარტება

1.1. თუ პირობებში და/ან მის შემადგენელ დოკუმენტებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სხვა რამ პირდაპირ არ არის განსაზღვრული ან მისი/მათი კონტექსტიდან ერთმნიშვნელოვნად სხვა რამ არ გამომდინარეობს, პირობებისთვის ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ანგარიში	კლიენტის სახელზე ბანკში გახსნილი ნებისმიერი ტიპის საბანკო ანგარიში
არასტანდარტული პირობები	პირობების შესაბამისი დანართით (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით
ბანკი	სს „ბანკი რესპუბლიკა“, საიდენტიფიკაციო კოდი 204856263, მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, 0179; გ. აბაშიძის ქ. N2
ბანკის სამუშაო საათები	დროის მონაკვეთი სამუშაო დღის 9:30 საათიდან 17:30 საათამდე, ხოლო შაბათს 10:00 საათიდან 14:00 საათამდე
ბანკის სამუშაო დღე/საბანკო დღე	დღე , კვირის და კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა
ბანკის არასამუშაო დღე ბანკის არასამუშაო საათები ბარათი	კვირა ან კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეები დროის ნებისმიერი მონაკვეთი, გარდა ბანკის სამუშაო საათებისა ბანკის მიერ კლიენტისათვის დამზადებული ნებისმიერი (მათ შორის დამატებითი) საგადახდო პერსონიფიცირებული საბანკო ბარათი
განცხადებები და გარანტიები	კლიენტის განცხადებები და გარანტიები, რომელიც მოცემულია წინამდებარე პირობების მე-4 მუხლში
განაცხადი	კლიენტის მიერ შევსებული ან/და ხელმოწერილი ან/და ელექტრონულად ან/და ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით ბანკისათვის გადაგზავნილი/მიწოდებული დოკუმენტი, რომლის ფორმა ბანკის მიერ არის დადგენილი, და რომელიც მიზნად ისახავს ქვემოთ მითითებულთაგან ერთ-ერთს, რამდენიმეს ან ერთდროულად ყველას: - ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას; - საბანკო მომსახურების ახალი სახეობით სარგებლობას; - ბანკთან გარიგების დადებას და/ან გარიგების დადების ნების გამოხატვას.
გადახდის ოპერაცია	კლიენტის ან მიმღების მიერ ინიცირებული ფულადი სახსრების განთავსების/ჩარიცხვის, გადარიცხვის ან გატანის ოპერაცია
დანართი	თუ ერთმნიშვნელოვნად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით , მისი და მისი შემადგენელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტ(ებ)ის დანართ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების ან მისი შემადგენელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტის განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან/მათთან ერთად
დღე ეროვნული ვალუტა ვებგვერდი ან ბანკის ვებ გვერდი კანონმდებლობა	კალენდარული დღე საქართველოს ეროვნული ვალუტა www.br.ge საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები
კლიენტი	ფიზიკური პირი რომელიც ამ პირობების მხარეა და სარგებლობს ერთი ან რამდენიმე მომსახურებით
კონფიდენციალური ინფორმაცია	ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირობების 9.2-9.5 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციისა
მესამე პირი მიმღები	ნებისმიერი პირი , გარდა მხარეებისა პირი , რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის ოპერაცია

<p>მომსახურება/მომსახურებები</p> <p>მხარე</p> <p>მხარეები</p> <p>მიმდინარე ანგარიში</p>	<p>ბანკის მიერ კლიენტისათვის ამ პირობების და მისი დანართების შესაბამისად გაწეული ნებისმიერი საბანკო მომსახურება, მათ შორის სალარო და სავალუტო ანგარიშებით მომსახურება</p> <p>კლიენტი ან ბანკი, კონტექსტის შესაბამისად</p> <p>კლიენტი და ბანკი ერთდროულად</p> <p>ანგარიში, რომელზეც აღირიცხება კლიენტის ფულადი სახსრები და რომელსაც განკარგავს კლიენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით</p>
<p>მულტისავალუტო ანგარიში</p>	<p>ანგარიში, რომელზეც აღირიცხულია კლიენტის ფულადი სახსრები ცალ-ცალკე რამდენიმე ვალუტით და რომელიც რაოდენობრივად წარმოადგენს ერთ ანგარიშს. მულტისავალუტო ანგარიშის არსებობისას სავალდებულოა ანგარიშის არსებობა ეროვნულ ვალუტაში</p>
<p>მომსახურე (პროვადიერი) ორგანიზაცია</p>	<p>კომუნალური, საკომუნიკაციო ან სხვა ტიპის მომსახურების მიმწოდებელი კომპანია, რომლის მომსახურების საზღაურს იხდის კლიენტი Direct Debit საშუალებით</p>
<p>მრავალფუნქციური მიმდინარე ანგარიში</p>	<p>იმგვარი საბანკო მომსახურება, სადაც კლიენტი ერთდროულად სარგებლობს ბანკის სხვადასხვა პროდუქტებით და სერვისებით, მათ შორის, მიმდინარე ანგარიშით და ბარათით</p>
<p>ოვერდრაფტი</p>	<p>წინამდებარე პირობების და/ან შესაბამისი ოვერდრაფტის ხელშეკრულების საფუძველზე ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშზე დაწესებული/დაშვებული სადებეტო ნაშთი, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს, თავის ანგარიშზე დაწესებული სადებეტო ნაშთის (ოვერდრაფტის ლიმიტის) ფარგლებში გამოიყენოს ანგარიშზე რიცხულ თანხაზე მეტი თანხა</p>
<p>პირი</p>	<p>ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი</p>
<p>პირობები რეესტრი</p>	<p>წინამდებარე საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობები</p> <p>(ა) ფასიანი ქაღალდების (აქციების) შემთხვევაში - კანონმდებლობით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი (ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი), (ბ) საჰაერო და საზღვაო ხომალდების შემთხვევაში - შესაბამისად სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ან სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილი პირ(ებ)ი), (გ) მექანიკური სატრანსპორტო და დამხმარე ტექნიკური საშუალებების შემთხვევაში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, (დ) სხვა შემთხვევებში - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი</p>
<p>საგადახდო დავალება</p>	<p>კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის უნაღდო ანგარიშსწორების წესით განხორციელების თაობაზე</p>
<p>საგადახდო მომსახურება</p>	<p>ა) მომსახურება რომელიც უზრუნველყოფს კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოჭრას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს და/ან უზრუნველყოფს მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს;</p> <p>ბ) გადახდის განხორციელება ბარათის გამოყენებით, ან გადარიცხვა ავტომატური საგადახდო დავალების და ავტომატური კომუნალური გადარიცხვის ჩათვლით;</p> <p>გ) გადარიცხვის განხორციელება მობაილ ბანკის, ტელეფონ ბანკის, ინტერნეტბანკის, ინტერნეტის ან სხვა ელექტრონული საშუალებ(ებ)ის გამოყენებით.</p>
<p>საკომისიო</p>	<p>ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)ის ფარგლებში და მათ შესაბამისად, კრედიტით</p>

	<p>ან/და ნებისმიერი სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის ბანკის მიერ კლიენტისათვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება პირობებით, დანართით ან/და ხელშეკრულების ან/და მისი შემადგენელი სხვა დოკუმენტ(ებ)ის დებულებების შესაბამისად ან საკომისიოს დარიცხვის მომენტისათვის ბანკში არსებული ტარიფების შესაბამისად</p>
საოპერაციო დღე	<p>დროის მონაკვეთი 9.30 საათიდან 16:30 საათამდე ორშაბათიდან პარასკევის (კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა) ჩათვლით</p>
სანქცია/სანქციები	<p>ნიშნავს ნებისმიერ ეკონომიკურ თუ ფინანსურ სანქციას, სავაჭრო ემბარგოს ან მსგავს ზომას, რომელიც მიღებულია, ადმინისტრირებულია ან აღსრულებულია რომელიმე შემდეგი სუბიექტის (ან ამ სუბიექტის ორგანოს მიერ) მიერ: (ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; (ბ) ამერიკის შეერთებული შტატები; (გ) ევროკავშირი და/ან მისი რომელიმე ამჟამინდელი ან მომავალი წევრი ქვეყანა</p>
სანქცირებული პირი	<p>ნებისმიერი ფიზიკური და/ან იურიდიულ პირი, რომელიც წარმოადგენს სანქციის დასახელებულ სამიზნეს ან სხვაგვარად წარმოადგენს სანქციის ობიექტს (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შემთხვევას, როდესაც პირი (ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება და/ან მფლობელობაშია ნებისმიერი პირის, რომელიც არის სანქციების დასახელებული სამიზნე, ან (ბ) რეგისტრირებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად და/ან არის იმ ქვეყნის მოქალაქე ან რეზიდენტი, რომელიც წარმოადგენს ზოგადი ან ქვეყნის მასშტაბით მოქმედი სანქციების ობიექტს)</p>
უცხოური ვალუტა შემადგენელი დოკუმენტი	<p>ნებისმიერი ვალუტა, გარდა ეროვნული ვალუტის პირობების შესაბამისად და მის საფუძველზე დადებული და/ან შექმნილი ხელშეკრულებები, შეთანხმებები და/ან სხვა სახის დოკუმენტები</p>
ხელმოწერის ნიმუში	<p>კლიენტის მიერ ბანკისთვის წარდგენილ ხელმოწერათა ნიმუშებიან ბარათში დაფიქსირებული და/ან სანოტარო წესით დამოწმებული კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში</p>
ხელშეკრულება	<p>ბანკსა და კლიენტს შორის დადებული გარიგება, რომელიც შედგება განაცხადის, პირობების (მისი დანართების) და სხვა შემადგენელი დოკუმენტებისაგან (ამგვარის არსებობის შემთხვევაში)</p>

2. ზოგადი ნაწილი

- 2.1. **ბანკი კლიენტს უწევს დანართებით** განსაზღვრულ მომსახურებას, ამავე **დანართების** და **პირობების** დებულებების შესაბამისად.
- 2.2. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საბანკო მომსახურების შესახებ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის დადებული **ხელშეკრულების** ნაწილს, კერძოდ, მის სტანდარტულ **პირობებს**.
- 2.3. **მომსახურების** მიღების მიზნით **კლიენტი** წერილობით მიმართავს **ბანკს**, რისთვისაც ავსებს შესაბამის **განაცხადს. განაცხადში** უნდა მიეთითოს **მომსახურების** ის სახეები, რომელთა მიღებაც სურს **კლიენტს. კლიენტის განაცხადის** განხილვის შედეგად **ბანკი** იღებს გადაწყვეტილებას, გაუწიოს თუ არა **კლიენტს განაცხადით** მოთხოვნილი მომსახურება. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მისაღებად **კლიენტს** მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარდგენა.
- 2.4. **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტს** უარი განუცხადოს **მომსახურების** გაწევაზე, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, თუ **კლიენტმა** საერთოდ ან დროულად არ შეავსო, ხელი არ მოაწერა ან **ბანკს** არ დაუბრუნა ზემოაღნიშნული რომელიმე დოკუმენტი **ბანკისათვის** მისაღები ფორმითა და შინაარსით. **კლიენტის** მიერ **განაცხადის** შევსება, აგრეთვე, **ბანკისათვის** დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა არ წარმოშობს **ბანკის** ვალდებულებას, გაუწიოს **კლიენტს პირობებით** გათვალისწინებული ყველა ან რომელიმე **მომსახურება**.
- 2.5. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** უკვე სარგებლობს **მომსახურებით, პირობებით** გათვალისწინებული იმ სხვა (რომლითაც **კლიენტი** არ სარგებლობს) **მომსახურების** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) მიღების/გააქტიურების მიზნით მან შესაბამისი **განაცხადით** უნდა მიმართოს **ბანკს. ბანკის** მიერ დადგენილ შემთხვევებში შესაძლებელია **მომსახურების** გააქტიურება წერილობითი **განაცხადის** გარეშე ან/და დისტანციურად - შესაბამისი სატელეფონო კომუნიკაციის, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების და/ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმის შეტყობინების **ბანკისათვის** ჩაბარებით. ამასთან,

- თუ კლიენტს აღარ სურს, ისარგებლოს პირობებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა საბანკო მომსახურებით, მან შესაბამისი წერილობითი განცხადებით და/ან ბანკისათვის სხვა ნებისმიერი მისაღები ფორმით უნდა მიმართოს ბანკს. ამ შემთხვევაში ბანკის მიერ შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი ვადა და/ან პირობები ამგვარი მომსახურების შესაწყვეტად.
- 2.6. ბანკის გადაწყვეტილება, გაუწიოს ან შეუწყვიტოს კლიენტს მოთხოვნილი მომსახურება, შესაძლოა გამოიხატოს მომსახურების ფაქტობრივად გაწევაში/არაგაწევაში (მაგ: ანგარიშის გახსნა/არგახსნა, ბარათის დამზადება/არდამზადება და ა.შ.) ან ეცნობოს კლიენტს ბანკისათვის მისაღები გონივრული ფორმით ან/და ამ პირობებით განსაზღვრული შეტყობინებების/კომუნიკაციის ერთ-ერთი ან რამდენიმე საშუალებით.
 - 2.7. კლიენტი ბანკისადმი წერილობითი მიმართვით (განაცხადის შევსების გზით) ეთანხმება წინამდებარე პირობებს და უერთდება პირობების იმ ნაწილს, რომელიც საერთოა პირობებში მითითებული ყველა მომსახურებისათვის, აგრეთვე იმ ნაწილსაც, რომელიც არეგულირებს იმ საბანკო პროდუქტ(ებ)ით მომსახურების პირობებს, რომელთა გაწევის თანხმობაც ბანკმა დაადასტურა.
 - 2.8. პირობები სხვა საკითხებთან ერთად არეგულირებს დანართ(ებ)ში მოცემულ საბანკო პროდუქტებთან/მომსახურებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.
 - 2.9. პირობებში აღწერილი რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით კლიენტის მიერ ფაქტობრივ სარგებლობას ბანკი მიიჩნევს იმის მტკიცებულებად, რომ კლიენტი ეთანხმება წინამდებარე პირობებს.
 - 2.10. იმ შემთხვევაში, თუ დანართებში მოცემულ რომელიმე მომსახურებასთან დაკავშირებით ბანკსა და კლიენტს შორის დადებულია კონკრეტული ხელშეკრულება, პირობები ამ ხელშეკრულების ნაწილი გახდება წინამდებარე პირობების ამგვარი კლიენტთან მიმართებაში ძალაში შესვლის მომენტიდან, ამ პირობების დებულებების შესაბამისად. ამასთან, თუკი ბანკის მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, კლიენტსა და ბანკს შორის დადებული ხელშეკრულების დებულებებსა და პირობების დებულებებს შორის რაიმე წინააღმდეგობის აღმოჩენის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პირობების დებულებებს. ამასთან, თუკი პირდაპირ სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე პირობები აუქმებს და ანაცვლებს კლიენტს დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას ანგარიშის გახსნის, საგადახდო მომსახურებისა და საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ.
 - 2.11. თუ კლიენტს არ გააჩნია პირობებში ჩამოთვლილი რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის უფლება, მასზე არ გავრცელდება პირობების ის დებულებები, რომლებიც ამ პროდუქტს/მომსახურებას აწესრიგებს. ასეთი დებულებები კლიენტისათვის ამოქმედდება პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის უფლების ბანკის მიერ მინიჭებასთან ერთად.
 - 2.12. კლიენტი ვალდებულია, სამართლებრივი სტატუსის, იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის, სახელის, გვარის, ანგარიშზე უფლებამოსილი პირების ან პერსონალური და/ან ბანკისათვის მიწოდებული სხვა მონაცემების შეცვლის შესახებ წერილობით აცნობოს ბანკს ცვლილებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში და წარუდგინოს მას ცვლილებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ორიგინალები ან სანოტარო წესით დამოწმებული ასლები (არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული ცვლილების ბანკისათვის შეუტყობინებლობით გამოწვეული ნებისმიერი სახის შედეგზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლიენტს.
 - 2.13. კლიენტი უფლებამოსილია პირობების მოქმედების პერიოდში ბანკისგან მიიღოს ინფორმაცია ხელშეკრულების, პირობებისა და მომსახურების შესახებ, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია მომხმარებელთა უფლებების შესახებ.
 - 2.14. წინამდებარე პირობებით დარეგულირებულია კლიენტისთვის საგადახდო მომსახურების გაწევისა და გადახდის ოპერაციების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების საკითხები.
 - 2.15. საგადახდო მომსახურების შესახებ ინფორმაციის ნაწილი, რაც არ არის მოცემული პირობებში, განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე და წარმოადგენს წინამდებარე პირობების განუყოფელ ნაწილს. ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია:
 - 2.15.1. ბანკის მონაცემები: დასახელება, სათავო ოფისის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ფილიალების მისამართები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ვებ-გვერდის მისამართი, ბანკის ლიცენზიის ნომერი, ინფორმაცია საზედამხედველო ორგანოს შესახებ (დასახელება, ვებ-გვერდის მისამართი).
 - 2.15.2. ინფორმაცია გაცვლითი კურსის შესახებ;
 - 2.15.3. კლიენტის მიერ ბანკისათვის გადასახდელი ყველა სახის საკომისიო და მათი გამოთვლის პრინციპი, გარდა ფიქსირებული საკომისიოს;
 - 2.15.4. საორიენტაციო გაცვლითი კურსი და ვალუტის გაცვლის საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), თუ საგადახდო მომსახურების გაწევა დაკავშირებულია თანხის კონვერტაციასთან;
 - 2.16. კლიენტს შეუძლია ბანკის ვებ-გვერდზე გადაამოწმოს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსების ისტორია საგადახდო ოპერაციის განხორციელების დღიდან 180 დღის განმავლობაში.
 - 2.17. საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებული ურთიერთობები ბანკსა და კლიენტს შორის ხორციელდება ქართულ ენაზე, თუ მხარეები დამატებით არ შეთანხმდებიან სხვა ენაზე ურთიერთობის განხორციელების თაობაზე.

3. საკომისიო და მისი გადახდის ზოგადი წესი

- 3.1. მომსახურების სანაცვლოდ კლიენტი ვალდებულია **ბანკს** გადაუხადოს **საკომისიო**, რომლის ოდენობაც და გადახდის წესიც განსაზღვრულია **ბანკის** მიერ და მოცემულია შესაბამის **დანართში** ან/და **ბანკის ვებ-გვერდზე** ან ზოგადად მოქმედებს **ბანკში საკომისიოს** დარიცხვის მომენტისათვის და ეცნობება **კლიენტს** კონკრეტული მომსახურების მიღებისას.
- 3.2. **დანართში** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) მოცემულ **საკომისიოებს** და **ბანკის ვებ-გვერდზე** მოცემულ ან სხვაგვარად განსაზღვრულ **საკომისიოებს** შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება **ბანკის ვებ-გვერდზე** მოცემულ **საკომისიოებს**.
- 3.3. თუ **კლიენტთან** დადებული სპეციალური შეთანხმებით ან **კლიენტის** დამსაქმებელთან არსებული სპეციალური შეთანხმებით (შემდგომ **შეთანხმება**) (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), განსაზღვრული **საკომისიოს** განსხვავებული ოდენობები - **შეთანხმების** მოქმედების პერიოდში **კლიენტის** მიმართ გამოიყენება **შეთანხმებით** დადგენილი ტარიფები, ხოლო **შეთანხმების** ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში **კლიენტის** მიმართ ამოქმედდება იმ დროისთვის **ბანკში** არსებული ტარიფები. ამასთან, აღნიშნულის თაობაზე **ბანკის** მიერ **კლიენტს** არ ეგზავნება დამატებითი შეტყობინება.
- 3.4. თუ **კლიენტმა ბანკს** უკვე გადაუხადა **საკომისიო**, მაგრამ შეწყვიტა ან შეაჩერა არჩეული **მომსახურებით** სარგებლობა, გადახდილი **საკომისიო კლიენტს** უკან არ დაუბრუნდება.
- 3.5. ამა თუ იმ **მომსახურების** სსარგებლობისთვის განსაზღვრული **საკომისიოს** გადაუხდელობის შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** შეუჩეროს **მომსახურება**.
- 3.6. თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული და/ან **მხარეთა** შორის შეთანხმებული, **მრავალფუნქციური მიმდინარე ანგარიშით** მომსახურების არჩევის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, პირველი თვის ადმინისტრირების **საკომისიო ბანკს** გადაუხადოს შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებისთანავე, მომდევნო თვეების ადმინისტრირების **საკომისიოს** გადახდა კი უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად, არა უგვიანეს იმავე თარიღისა, რომელშიც გაიხსნა აღნიშნული სახის ანგარიშ(ებ)ი. ამასთან, თუ **მხარეები** შეთანხმდებიან **საკომისიოს** ყოველწლიურად გადახდაზე, **კლიენტი** ვალდებულია, პირველი წლის ადმინისტრირების **საკომისიო ბანკს** გადაუხადოს შესაბამისი **განაცხად(ებ)ის** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებისთანავე, მომდევნო წლების ადმინისტრირების **საკომისიოს** გადახდა კი უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად, არა უგვიანეს იმავე თარიღისა, როდესაც გაიხსნა აღნიშნული სახის ანგარიშ(ებ)ი.
- 3.7. **მრავალფუნქციური მიმდინარე ანგარიშის** ადმინისტრირების **საკომისიოს** გადახდისათვის დადგენილი თარიღიდან 30 (ოცდაათი) **დღის** განმავლობაში **კლიენტის** მიერ **საკომისიოს** არგადახდის შემთხვევაში **კლიენტს** ეზღუდება მის მიერ **მომსახურებით** სარგებლობის უფლება. ამ **მომსახურების** თავიდან გასააქტიურებლად **კლიენტი** ვალდებულია, სრულად გადაიხადოს **საკომისიო** და აქტივაციის **საკომისიო ბანკში** დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 3.8. თუ დადგენილ ვადებში **კლიენტმა** არ გადაიხადა რომელიმე **საკომისიო**, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **ანგარიშ(ებ)იდან** ჩამოჭრას თანხები **ბანკის** მიერ განსაზღვრული რიგითობით (საჭიროების შემთხვევაში კონვერტაცია განახორციელოს **ბანკში** არსებული კომერციული კურსის შესაბამისად) და მიმართოს **ბანკის** მიმართ არსებული ვალდებულების შესასრულებლად, ხოლო ამგვარი თუ **ანგარიშ(ებ)ზე** არსებული სახსრები არ არის საკმარისი რომელიმე **საკომისიოს** დაფარვისთვის **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს** აღნიშნული **მომსახურება** დამატებითი შეტყობინების გარეშე.
- 3.9. **ანგარიშზე** თანხის ჩარიცხვისას გარდა ჩარიცხული თანხის განაღდება **საკომისიოსი** - სხვა **საკომისიოს** დაკავება არ ხდება **კლიენტისთვის**.
- 3.10. **ბანკში** არ არის დადგენილი **საკომისიო** ვალუტის გაცვლისთვის (კონვერტაციისთვის).
- 3.11. **კლიენტი** უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია **ანგარიშზე** შესრულებული ოპერაციების შესახებ. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია საბანკო ამონაწერი და **საგადახდო დავალების** ასლი ერთჯერადად, საკომისიოს გადახდის გარეშე მიაწოდოს კლიენტს, ხოლო ყოველი შემდეგი მოთხოვნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია გადაიხადოს **საკომისიო**.

4. კლიენტის განცხადებები და გარანტიები

- 4.1. **კლიენტი** აცხადებს, რომ ფლობს **პირობებით** განსაზღვრული პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობის უფლებამოსილებას და ამისათვის მას მოპოვებული აქვს ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა.
- 4.2. **კლიენტი** აცხადებს, რომ არ მონაწილეობს არც ერთ სასამართლო პროცესში, მათ შორის, ადმინისტრაციულ, სისხლის, სამოქალაქო სამართალწარმოებაში (მოსარჩლის, მოპასუხის, **მესამე პირის** ან სხვა სახით), რითაც საფრთხე ექმნება მის მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებით** და/ან **ბანკთან** დადებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობების შესრულებას.
- 4.3. **კლიენტი** აცხადებს, რომ მის მიერ **ბანკში** წარდგენილი ინფორმაცია **განაცხადის** შევსების ან/და წინამდებარე **პირობების** ძალაში შესვლის დღისათვის არის უტყუარი, სრული და ზუსტი. მისი ქმედება არ არის/არ იქნება მიმართული **ბანკის** მოტყუებისკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით **პირობების** დასადავად, ან მის საფუძველზე რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის მიზნით **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილი დოკუმენტი და/ან ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისთვის ასევე

- არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთან, **კლიენტისთვის** ცნობილია, რომ ყალბი დოკუმენტების და/ან ინფორმაციის მიწოდება კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას.
- 4.4. **კლიენტი** აღიარებს და ადასტურებს, რომ **ბანკში** გახსნილი **ანგარიში** გამოყენებული იქნება მხოლოდ **კანონმდებლობით** დაშვებული ოპერაციებისათვის. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ მის **ანგარიშზე** თანხები შეიტანოს ნებისმიერმა **მესამე პირმა**. ამასთან, **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **მესამე პირის** მიერ **კლიენტის ანგარიშზე** თანხის შეტანის შემთხვევაში, ამ მესამე პირისათვის შესაძლოა, ცნობილი გახდეს **ანგარიშის** ნომერი.
 - 4.5. **კლიენტი** აღიარებს და ადასტურებს, რომ **ბანკში** გახსნილი ნებისმიერი **ანგარიში** გამოყენებულ იქნება მხოლოდ მისი(**კლიენტის**) ოპერაციებისათვის.
 - 4.6. **კლიენტი** ვისრულებს ვალდებულებას, არ დაუშვას მისი რომელიმე **ანგარიშის** გამოყენება **მესამე პირის** ფინანსური ოპერაციებისათვის.
 - 4.7. **კლიენტი** ადასტურებს, რომ **პირობებით** დადებულია **კლიენტის** მიერ ნებაყოფლობით, **ბანკის** ან სხვა **მესამე პირის** მხრიდან ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის და/ან რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე; **პირობების** დადება და შესრულება არ გამოიწვევს მის მიერ ადრე დადებული გარიგებების პირობების დარღვევას.
 - 4.8. **პირობების** დადების დროისთვის არის/იქნება ქმედუნარიანი.
 - 4.9. **კლიენტი** აცნობიერებს და ეთანხმება, რომ მისი წინამდებარე განცხადებები და გარანტიები მოქმედებს **პირობების** მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში და ის(**კლიენტი**) აცხადებს და ადასტურებს, რომ დაუყოვნებლივ მიაწვდის **ბანკს** ინფორმაციას იმ პოტენციური და/ან არსებული ადმინისტრაციული, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) და/ან სხვა მსგავსი დავების (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დავებს **კლიენტის** აქტივებთან/ქონებასთან, ან/და დავებს ან/და სამართალწარმოებას **კლიენტის** გადახდისუნარიანობასთან/ გაკოტრებასთან დაკავშირებით.) ან სამართალწარმოების შესახებ, რომელთაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ **კლიენტის** მიერ წინამდებარე **პირობებით** ნაკისრი და/ან მის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და მის განცხადებებსა და გარანტიებზე.
 - 4.10. **კლიენტი** ან მისი აფილირებული პირი, ან მისთვის ცნობილი რომელიმე დირექტორი, მოხელე, აგენტი ან თანამშრომელი არ წარმოადგენს **სანქცირებულ პირს**.
 - 4.11. **კლიენტი** უზრუნველყოფს, რომ არცერთ პირს, რომელიც წარმოადგენს **სანქცირებულ პირს** არ ექნება რაიმე უფლება **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებიდან** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი დოკუმენტიდან** გამომდინარე **ბანკისათვის** გადახდილ ან გადასახდელ თანხებზე და რომ **სანქცირებულ პირთან** განხორციელებულ რაიმე საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი ან სარგებელი არ იქნება გამოყენებული **ხელშეკრულების** და/ან ნებისმიერი **შემადგენელი დოკუმენტის** ფარგლებში **ბანკის** წინაშე არსებული გადასახდელების გადასახდელად.
 - 4.12. იგი კეთილსინდისიერად, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს **პირობებით** ნაკისრ ვალდებულებებს.
 - 4.13. **კლიენტის** აღნიშნული **განცხადებები** და **გარანტიები** ძალაშია კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის მთელი პერიოდი მანძილზე მიუხედავად ზოგიერთი **მომსახურების** სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.
 - 4.14. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ ჩაერთოს **ბანკის** ბონუსქულების პროგრამაში და **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში დაერიცხოს ბონუსქულები.
 - 4.15. **კლიენტი** წერილობით დაუყოვნებლივ აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მის განცხადებებს და/ან გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა.
 - 4.16. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ბანკის** საზედადამხდელი ორგანო არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი **ბანკის** მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.
 - 4.17. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **კლიენტის** ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დაადებს წინამდებარე **პირობებს** და შეასრულებს **პირობებით** ნაკისრ ვალდებულებებს.
- 5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და ზოგადი დებულებები**
- 5.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის და მოქმედებს უვადოდ მხოლოდ მას შედეგ, რაც **კლიენტი** შეავსებს შესაბამისი მომსახურების **განაცხადს** და **ბანკი** გამოხატავს თანხმობას მომსახურების მიწოდებაზე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით **ბანკის** თანხმობად არ განიხილება **განაცხადის** მიღებაზე **ბანკის** თანამშრომლის ხელმოწერა.
 - 5.2. მიუხედავად 5.1 პუნქტის დებულებისა, **ხელშეკრულება** ძალაში შევა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ყველა პირობა:
 - 5.2.1. **კლიენტის** მიერ მოპოვებულ იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა და ნებართვა (**კანონმდებლობით** ან **ბანკის** მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში) **ხელშეკრულების** დასადავად და შესასრულებლად;
 - 5.2.2. **კლიენტი** **ბანკს** მიაწვდის წინამდებარე **პირობებით** გათვალისწინებულ ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წესი

- 6.1. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესები და/ან წინამდებარე პირობების სხვა შემადგენელ დოკუმენტებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და **დანართებით** დადგენილი წესები და პირობები იმ მიზნით, რომ იგი (ისინი) შეესაბამებოდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებს, შეცვლილ საბაზრო პირობებს, საბანკო პრაქტიკასა და **კანონმდებლობას**. ამასთან, ნებისმიერი ასეთი ცვლილების შესახებ **ბანკი** საჯაროდ გაავრცელებს შესაბამის ინფორმაციას (**ვებ-გვერდზე** და/ან **ბანკის** ფილიალებში/სერვისცენტრებში ინფორმაციის განთავსებით) ან აცნობებს **კლიენტს** ამ პირობების მე-10 მუხლის შესაბამისად ცვლილებამდე 10 (ათი) **დღით** ადრე. ამასთან, თუ **ბანკი** ცვლილებას განახორციელებს **კლიენტის** სასარგებლოდ – ასეთი ცვლილების შემთხვევაში **ბანკი** არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს **კლიენტს**.
- 6.2. **ბანკს** უფლება აქვს, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები **ხელშეკრულებაში**, მათ შორის შეცვალოს **საკომისიოს** ოდენობა. აღნიშნულის შესახებ **ბანკი კლიენტის** ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებების ძალაში შესვლამდე 10 (ათი) **დღით** ადრე **პირობების** ამ მუხლის 6.1 პუნქტში დადგენილი წესის შესაბამისად.
- 6.3. ამ მუხლის 6.1 ან/და 6.2 პუნქტებში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ ეთანხმება **ბანკის** მიერ შემოთავაზებულ ცვლილებას – **კლიენტს** უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ამ **პირობებით** განსაზღვრული ყველა ან რომელიმე **მომსახურების** შეწყვეტა, რისთვისაც **კლიენტი** ვალდებულია წერილობით შეატყობინოს **ბანკს**.
- 6.4. **კლიენტის** მიერ ამ მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრული უფლების არგამოყენების შემთხვევაში, **ბანკის** შეთავაზებული ცვლილებები მიჩნეულ იქნება **კლიენტის** მიერ მიღებულად, **ხელშეკრულება** კი – შეცვლილად.
- 6.5. **ბანკი** უფლებამოსილია **პირობებით** რეგულირებულ **საგადახდო მომსახურების** ნაწილში ცვლილებები (დამატებები) შეიტანოს ცვლილების (დამატებების) განხორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე. ასეთი ცვლილების შესახებ **ბანკი** საჯაროდ გაავრცელებს შესაბამის ინფორმაციას (**ვებ-გვერდზე** და/ან **ბანკის** ფილიალებში/სერვისცენტრებში ინფორმაციის განთავსებით) და/ან **პირობების** მე-10 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოფს **კლიენტის** ინფორმირებას.
- 6.6. 6.5 პუნქტით გათვალისწინებული 1 (ერთი) თვით ადრე ინფორმაციის განთავსების/გავრცელების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხორციელდება **საგადახდო მომსახურების** საკომისიოს ოდენობის ცვლილება **კლიენტის** სასარგებლოდ, ასევე, იმ ახალ **საგადახდო მომსახურებაზე** რომელიც არ ანაცვლებს და/ან არ ცვლის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებ(ებ)ას. **ბანკს** უფლება აქვს ამ პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება, ძალაში შეიყვანოს **ბანკის ვებ გვერდზე** მისი განთავსებისთანავე.
- 6.7. 6.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში **პირობებში** განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება **კლიენტთან** შეთანხმებულად, თუ **კლიენტი** ცვლილების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს **ბანკს**, რომ არ ეთანხმება დაგეგმილ ცვლილებას.
- 6.8. ამ **პირობების** 6.5 პუნქტში აღწერილ შემთხვევაში **კლიენტს** უფლება ექნება **ბანკის ვებ გვერდზე** ან/და **ბანკის** ფილიალებისა და სერვის-ცენტრების შენობებში ინფორმაციის განთავსებიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს **პირობებით** გათვალისწინებული **საგადახდო მომსახურების** მიღებაზე. **ბანკისათვის** წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებული იქნება **პირობებით** გათვალისწინებული **საგადახდო მომსახურების** შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების **ბანკისთვის** გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) **დღისა** გადაუხადოს **ბანკს** ამ **პირობებით** გათვალისწინებულ **საგადახდო მომსახურებასთან** დაკავშირებული საკომისიო, საპროცენტო სარგებელი, დარიცხული პირგასამტეხლო და სხვა გადასახდელი.
- 6.9. იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ ისარგებლებს **პირობების** 6.8 პუნქტში აღწერილი უფლებით, **ბანკის** მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ცვლილება (დამატება) ჩაითვლება **კლიენტის** მიერ მიღებულად/შეთანხმებულად, პირობები კი შეცვლილად (6.5 პუნქტით გათვალისწინებული 1 თვიანი ვადის გასვლისთანავე).
- 6.10. **კლიენტის** მოთხოვნით **ბანკის საგადახდო მომსახურების** მიწოდების შეწყვეტა განხორციელდება წინამდებარე **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.
- 6.11. **ბანკს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **საგადახდო მომსახურების** მიწოდება (წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული), შეწყვეტამდე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე **კლიენტისთვის** შეტყობინებით.
- 6.12. **საგადახდო მომსახურების** შეწყვეტის შემთხვევაში **საგადახდო მომსახურებისთვის** რეგულარულად გადასახდელი **საკომისიოს** გადახდა განხორციელდება მხოლოდ გაწეული **საგადახდო მომსახურების**

პერიოდის პროპორციულად. თუ საგადახდო მომსახურების საკომისიო კლიენტის მიერ გადახდილია წინასწარ, მაშინ ბანკი კლიენტს აუნაზღაურებს ზედმეტად გადახდილ თანხას.

7. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლები

- 7.1. კლიენტს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც ვალდებულია შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს ბანკს (გარდა ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა).
- 7.2. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რისთვისაც შეწყვეტამდე 10 (ათი) დღით ადრე უნდა შეატყობინოს კლიენტს.
- 7.3. ბანკი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ (წინასწარი შეტყობინების გარეშე) მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
 - 7.3.1. კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება;
 - 7.3.2. კლიენტის ნებისმიერი განცხადება ან გარანტია აღმოჩნდება მცდარი ან არაზუსტი;
 - 7.3.3. კლიენტის მიმართ დაიწყება გადახდისუნარიანობის საქმის წარმოება და/ან ნებისმიერი სასამართლო დავა, რითაც საეჭვო გახდება კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
 - 7.3.4. კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას ან პირობების N1 დანართის 1.27 და 1.28 პუნქტებში მითითებული გარემოების დადგომისას;
 - 7.3.5. თუ რომელიმე იურისდიქციის ფარგლებში ბანკისთვის უკანონო გახდა ან გახდება ხელშეკრულებით და/ან შემადგენელი დოკუმენტებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების შესრულება ან თუ კლიენტი, მისი აფილირებული პირ(ებ)ი ან/და ან მისი ჯგუფის რომელიმე წევრი გახდება სანქცირებული პირი.
- 7.4. ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში ბანკი ვალდებულია, ხელშეკრულების შეწყვეტიდან გონივრულ ვადამი შესაბამისი შეტყობინება გაუგზავნოს კლიენტს.
- 7.5. მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზისა:
 - 7.5.1. თუ ბანკის მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, ხელშეკრულების შეწყვეტამდე კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეასრულოს ბანკის წინაშე არსებული ყველა (მათ შორის ფულადი) ვალდებულება;
 - 7.5.2. კლიენტი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე უზრუნველყოს ანგარიშზე არსებული ნაშთის ანგარიშიდან სრულად გატანა და/ან აცნობოს ბანკს სხვა კომერციულ ბანკში არსებული ალტერნატიული საბანკო რეკვიზიტების შესახებ რომელზეც ბანკი შეძლებს კლიენტის ანგარიშზე არსებული ნაშთის გადარიცხვას. ხოლო, კლიენტის მიერ ამ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია: (ა) კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს ანგარიშზე არსებული ნაშთი კლიენტის სხვა ბანკში ასევე ანგარიშზე, რომლის რეკვიზიტები ბანკისთვის ცნობილი გახდა მომსახურების გაწევისას ან საჯარო წყაროდან და/ან (ბ) გადაიტანოს ანგარიშზე არსებული ნაშთი ბანკის სატრანზიტო ანგარიშზე და/ან (გ) შეუზრუდოს კლიენტს ანგარიშზე წვდომა, საბანკო ოპერაციების წარმოება, უარი უთხრას მომსახურების გაწევაზე;
 - 7.5.3. ხელშეკრულება ჩაითვლება სრულად შეწყვეტილად მას შემდეგ რაც კლიენტის მიერ სრულად შესრულდება ბანკის წინაშე არსებული ყველა (მათ შორის ფულადი) ვალდებულება;
 - 7.5.4. ბანკი გათავისუფლდება კლიენტის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 8.1. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანგარიშებზე ოპერაციების წარმოების სისწორისა და დროული შესრულებისათვის; მომსახურების გაწევის დაყოვნებისათვის ბანკს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ, ეს მისი მიზეზით არ არის გამოწვეული, ან გამოწვეულია კლიენტის მიერ ბანკისათვის არასწორი ინფორმაციისა და/ან არასწორი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტის გადაცემით.
- 8.2. კლიენტი პასუხისმგებელია ანგარიშის გასახსნელად და მასზე ოპერაციების საწარმოებლად წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტების უტყუარობაზე.
- 8.3. ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს საბანკო ოპერაციის შესრულება, თუ ბანკის შეფასებით ოპერაცია მიზნად ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ან/და ტერორიზმსა და სხვა საერთაშორისო დანაშაულებში ბრალდებულ პირთა დაფინანსებას ან ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

9. კონფიდენციალურობა

- 9.1. მხარეები ვალდებული არიან, წინამდებარე ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)ის მოქმედების პერიოდში დაიცვან მეორე მხარისგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- 9.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:
 - 9.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

- 9.2.2. რომლის გამყვანებაც მოხდება **მხარეთა** მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
- 9.2.3. რომლის კანონიერად მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
- 9.2.4. რომელიც არის ან გახდება **მესამე პირ(ებ)ისათვის** ხელმისაწვდომი **მხარეთა** წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.
- 9.3. წინამდებარე **ხელშეკრულებით კლიენტი ბანკს** ანიჭებს უპირობო და უვადო (მიუხედავად **ხელშეკრულების** მოქმედების ვადისა) უფლებას, ნებისმიერ დროს, ნებისმიერი, მათ შორის ახალი მომსახურების შეთავაზების, მიზნით, **კლიენტის** წინასწარი, დამატებითი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:
- 9.3.1. მოკლე ტექსტური შეტყობინების, ელექტრონული ფოსტის და/ან სხვა ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით მიაწოდოს **კლიენტის** სარეკლამო/მარკეტინგული ინფორმაცია და/ან კომერციული შეთავაზებები;
- 9.3.2. ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ გადასცეს თავის შვილობილ კომპანიებს ან სხვა აფილირებულ პირებს, მათ შორის, „სოსიეტე ჟენერალის“ ჯგუფში შემავალ ნებისმიერ კომპანიას, ასევე, ნებისმიერ **მესამე პირს**, რომელთანაც **ბანკი** თანამშრომლობს დაკრედიტების მიმართულებით, ასევე, **ბანკის** აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მიმღები პირები დაიცავენ ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით;
- 9.3.3. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და სს „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში:
- 9.3.3.1. სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია **კლიენტის** შესახებ, რომელიც სხვა ინფორმაციასთან ერთად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: **კლიენტის** საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე, მისი მსხვილი აქციონერებისა/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის (ვალდებულების) წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, **კლიენტის** მიერ საბანკო პროდუქტებთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში - სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;
- 9.3.3.2. მისცეს თანხმობა სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ **ბანკის** მიერ სს „კრედიტინფო საქართველოსთვის“ ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისთვის მიწოდებული **კლიენტის** მონაცემები ამ დაწესებულებებმა გადასცენ **მესამე პირებს** იმ პირობით, რომ **კლიენტის** მონაცემებს **ბანკი** მიაწოდებს იმ პირებს, რომლებიც თავადაც აწვდიან სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც ამ დაწესებულებებთან გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება;
- 9.3.3.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერი სხვა, მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემები **კლიენტის** შესახებ;
- 9.3.4. მიაწოდოს **უზრუნველყოფის** საგნის მესაკუთრეს და/ან თავდებ პირს ინფორმაცია **კლიენტის** ვალდებულებებისა და მათი შესრულების შესახებ.
- 9.3.5. ნებისმიერი **რეესტრიდან** და/ან სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერი დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) გამოითხოვოს, მიიღოს და შეინახოს დაცული ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტები) **კლიენტის** შესახებ და აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა ბაზები (მათ შორის, ელექტრონული ბაზები), ასევე, შესაძლებელი ყველა საჭირო მოქმედება და/ან პროცედურა, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან;
- 9.4. **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, მიიღოს მისი (**კლიენტის**) პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია სერვისების განვითარების სააგენტოდან. **ბანკი** ვალდებულია, არ დაუშვას სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გადაცემა **მესამე პირისთვის**, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 9.5. **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების**, აგრეთვე **ბანკთან** დადებული ნებისმიერი გარიგების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით **კლიენტი** უფლებამოსილებას ანიჭებს **ბანკს**, **მესამე პირებს** მიაწოდოს ინფორმაცია.
- 9.6. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვების ხარჯი ეკისრება **კლიენტის**.

10. შეტყობინებები

- 10.1. ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ პირობებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ზანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა):
- 10.1.1. მხარეები თანხმდებიან, რომ კლიენტის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) წინამდებარე პირობებში, განაცხადში და/ან (ბ) კლიენტის მიერ ზანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (გ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება კლიენტისთვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად;
- 10.1.2. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით. კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ წინამდებარე პირობების 10.1.1. ქვეპუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება;
- 10.1.3. შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას;
- 10.1.4. შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

11. პრეტენზიები და დავების გადაწყვეტის წესი

- 11.1. წინამდებარე პირობებიდან და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)იდან გამომდინარე, პრეტენზიები მხარეებმა შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით და/ან ზეპირად. კლიენტი ვალდებულია, პრეტენზიაში მითითებულ ვადაში (ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში) მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია ან წერილობით აცნობოს ზანკს მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
- 11.2. კლიენტს უფლება აქვს, წარადგინოს პრეტენზია ზანკის ხარისხის მართვის დეპარტამენტში ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. ზეპირი პრეტენზია კლიენტს შეუძლია დააფიქსიროს ზანკის უფლებამოსილ თანამშრომელთან, ასევე, მას შეუძლია დარეკოს ზანკის სატელეფონო მომსახურების ცენტრში ნომერზე: 2 90 90 90. წერილობითი პრეტენზიის დაფიქსირებისათვის კლიენტს უფლება აქვს, გამოიყენოს შემდეგი საშუალებები: ა) ფილიალებსა და სერვისცენტრებში არსებული სტანდარტული კითხვარის შევსება, ბ) ელექტრონული ფოსტით პრეტენზიის გაგზავნა მისამართზე: quality@republic.ge, გ) დააფიქსიროს საკუთარი პრეტენზია ზანკის ვებგვერდზე შენიშვნებისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას. პრეტენზიის განხილვის შესახებ დეტალური პროცედურის შესახებ ინფორმაციის მისაღებად კლიენტს შეუძლია დაუკავშირდეს ზანკის ხარისხის მართვის დეპარტამენტს ან დარეკოს ნომერზე: 2 90 90 90; დაფიქსირებულ პრეტენზიაზე ზანკის მხრიდან პასუხის მიღების ვადები მერყეობს 48 საათიდან 30 სამუშაო დღემდე. პრეტენზიის განხილვის ვადის ათვლა დაიწყება ზანკის მიერ პრეტენზია მიღებიდან. ამასთან, საჩივრის სირთულიდან გამომდინარე, ზანკი უფლებამოსილია, საბოლოო პასუხი კლიენტს მიაწოდოს აღნიშნული ვადის შემდგომ, რის შესახებაც კლიენტი ზანკის წარმომადგენლისაგან იქნება ინფორმირებული.
- 11.3. კლიენტს უფლება აქვს, მიაწოდოს ზანკს შენიშვნა მომსახურების არადაკმაყოფილებელი დონის შესახებ და მიიღოს შესაბამისი ახსნა-განმარტებები. ზანკი ეცდება, ოპერატიულად გამოიძიოს კლიენტისაგან მიღებული ყოველი შენიშვნა ზანკის მხრიდან არადაკმაყოფილებელი მომსახურების ხარისხის შესახებ და გამოასწოროს ხარვეზები.
- 11.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ წინამდებარე პირობებიდან და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება ნაკლებია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე და/ან მეტია 300 000 (სამასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1¹ ნაწილის შესაბამისად, ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე დავასთან დაკავშირებული ზანკის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მიქცეულ იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
- 11.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე პირობებიდან და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს, თუ დავის საგნის ჯამური (საერთო) ღირებულება მეტია 7 000 (შვიდი ათასი) ლარზე

და/ან ნაკლებია 300 000 (სამასი ათასი) ლარზე ან ეკვივალენტზე უცხოურ ვალუტაში (სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად). არბიტრაჟს დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა შემდეგი წესით: 1) 7 000 (შვიდი ათასი) ლარიდან 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს “შორაჟი” (საიდენტიფიკაციო კოდი: 404379347); 2) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარიდან 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს “დავების განმხილველი ცენტრი” (DRC) (საიდენტიფიკაციო კოდი: 204547348); 3) 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარიდან 300 000 (სამასი ათასი) ლარამდე - მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205273005). იმ შემთხვევაში, თუ საარბიტრაჟო სარჩელის (პრეტენზიის) წარდგენის მომენტში, ზემოხსენებულ არბიტრაჟთაგან რომელიმე იქნება ლიკვიდირებული ან მას შეჩერებული/შეწყვეტილი იქნება ფუნქციონირება, დავა განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს.

11.6. **მხარეები** თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ მოყვანილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან, გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. **მხარეები** თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გააჩნია ერთპიროვნულად **ბანკს**. **ბანკი** არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების მიერ საარბიტრაჟო სარჩელის წარმოებაში მიღებიდან 3 (სამი) **დღის** ვადაში. დანიშნული არბიტრი სავალდებულოდ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, უმადლესი ურიდიული განათლების მქონე პირი, 2 (ორი) წლის გამოცდილებით საბანკო სფეროში. თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 20 000 (ოცი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად უცხოურ ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა), მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ ბანკი არ დანიშნავს არბიტრს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადაში, ჩაითვლება რომ ის უარს ამბობს ისარგებლოს არბიტრის უშუალოდ დანიშვნის უფლებით. ასეთ შემთხვევაში მხარეები წინასწარ თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გადაეცემა მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას და მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება არბიტრს ნიშნავს ბანკის მიერ არბიტრის დანიშვნის ვადის გაშვებიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებით ან/და კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება ენიჭება საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

11.7. **მხარეები** თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). **მხარეები** თანხმდებიან, რომ წინამდებარე **პირობებიდან** და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)იდან გამომდინარე, ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის **მომსახურების** მიღებაზე უარის თქმის, **პირობების** შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის **ბანკის** მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ **მხარეს** ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით წინამდებარე **პირობების**, **განაცხადის** ან **კლიენტთან** დადებული დამატებითი ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების)/საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით წინამდებარე

ხელშეკრულების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით **პირობების, განაცხადის ან კლიენტთან** დადებული დამატებითი ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე, მიღება (**მხარისათვის** ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. **კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **პირობების, განაცხადის ან კლიენტთან** დადებული დამატებითი ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (**მხარისათვის** ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

12. დასკვნითი დებულებები

- 12.1. **პირობებს** (მისი **დანართების** გამოკლებით) და **პირობების დანართებს**, შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ჯერ **დანართებს**, შემდგომ **პირობებს** (მისი **დანართების** გამოკლებით).
- 12.2. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **პირობების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა პირობების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 12.3. **მხარეები** თანხმდებიან და **კლიენტი** აცნობიერებს, რომ ამ **პირობებით** გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის **ბანკს** არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (მათ შორის **ბანკისათვის** და/ან **კლიენტისათვის** მომსახურების გამწევი **მესამე პირების** ბრალეულობით) ზემოქმედებით, აგრეთვე, ვალდებულებების შესრულებას ხელს უშლის **კანონმდებლობით** და/ან **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილი წესები/მოთხოვნები.
- 12.4. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება **მხარეს** მეორე **მხარის** მიერ **პირობების** და/ან კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება **პირობებით** და/ან კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.
- 12.5. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების** და/ან **კანონმდებლობის** სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **პირობების** და/ან **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
- 12.6. **პირობებში** მხოლოდ რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.
- 12.7. **პირობების** მუხლები, პუნქტები და/ან ქვეპუნქტები დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მითითების მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს მათი ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.
- 12.8. **პირობებით** თითოეული **მხარის** მიერ წარმოშობილი ვალდებულებები ვრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.
- 12.9. **კლიენტს** უფლება არ აქვს, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირს** გადასცეს ან გადააბაროს მასზე **პირობებით** ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ **კლიენტმა** პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებას, მიიღოს **მესამე პირისაგან** შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა **კლიენტი**.
- 12.10. **ბანკს** უფლება აქვს, **კლიენტის** თანხმობის გარეშე, **მესამე პირს** მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს წინამდებარე **პირობებით** შეძენილი ნებისმიერი უფლება და/ან ვალდებულება.
- 12.11. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე **პირობებით**, **მხარეები** იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით და/ან დამატებით შეთანხმებული პირობებით.
- 12.12. **პირობები** შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს **პირობების** არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება წინააღმდეგობა/შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება **პირობების** ქართულ ვერსიას.

მიმდინარე საბანკო ანგარიში

- 1.1. **ბანკი კლიენტს** უხსნის მიმდინარე ანგარიშ(ებ)ს (მიმდინარე ანგარიში შეიძლება იყოს ასევე მულტისავალუტო ანგარიში) და უწევს მას მომსახურებას წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული წესით.
- 1.2. **კლიენტს** შეუძლია ჰქონდეს რამდენიმე მიმდინარე ანგარიში.
- 1.3. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტს** გაუხსნას დამატებითი ანგარიში წერილობითი განაცხადის გარეშე, დისტანციურად - შესაბამისი სატელეფონო კომუნიკაციის გზით, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების და/ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმის, მათ შორის **ინტერნეტბანკით** მიღებული შეტყობინების **ბანკისათვის** მიწოდებით. ამასთან, ამგვარი სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიღებული **განაცხადის** შემთხვევაში **ბანკი** უფლებამოსილია დააწესოს დამატებითი ვადა და/ან მოითხოვოს დამატებითი საბუთები **ანგარიშის** გასახსნელად.
- 1.4. **ბანკი** ვალდებულია, დროულად და **კლიენტის** მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ზუსტი დაცვით აწარმოოს საბანკო ოპერაციები და მათი წარმოებისას დაიცვას ამ **პირობების** და **კანონმდებლობის** მოთხოვნები. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, უარი თქვას **კლიენტის** დავალების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გათვალისწინებულია **კანონმდებლობით** ან **კლიენტს** აქვს ვადამოსვლი, მიმდინარე ფულადი ვალდებულება **ბანკის** მიმართ და **კლიენტის** ფულადი სახსრები მიმართოს ამგვარი ვალდებულების შესასრულებლად.
- 1.5. **ბანკი** ვალდებულია, **კლიენტის** მოთხოვნით და იმ პირობით, რომ **კლიენტი** გადაიხდის შესაბამის **საკომისიოს/საკომისიოებს** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში), მიაწოდოს მას ამონაწერი **ანგარიშიდან** ან/და ნებისმიერი სხვა ინფორმაცია **ანგარიშის** და **ანგარიშზე** განხორციელებული ოპერაციების შესახებ, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება **კანონმდებლობის** მოთხოვნებს.
- 1.6. **ბანკს** უფლება აქვს, **კლიენტის** დავალებით (**კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევაში **კლიენტის** დავალების გარეშე, მათ შორის, საინკასო დავალების შესრულებისას) ჩამოწეროს შესაბამისი თანხები **ანგარიშიდან** კრედიტორების (მათ შორის **ბანკის**) ანგარიშზე მათი ჩარიცხვის მიზნით, აგრეთვე, **კანონმდებლობის** შესაბამისად განახორციელოს სხვა ოპერაციები **ანგარიშზე**.
- 1.7. **ბანკს** უფლება აქვს, მოითხოვოს **კლიენტს ანგარიშზე** ოპერაციის განხორციელების ეკონომიკური დასაბუთება და ოპერაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი, ხოლო **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** მოთხოვნისთანავე მიაწოდოს მას საბანკო ოპერაციის ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტი.
- 1.8. **ბანკს** უფლება აქვს, **კლიენტის** მიერ ამ **დანართი #1-ის** 1.7 და/ან 1.12 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ შეასრულოს **კლიენტის** დავალება თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით ან მოთხოვნა სალაროში თანხის განაღდების შესახებ ან შეასრულოს მხოლოდ მომდევნო **საბანკო დღეს**.
- 1.9. **კლიენტი** ვალდებულია, გადაუხადოს **ბანკს საკომისიო** (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) **ანგარიშზე** ოპერაცი(ებ)ის წარმოებისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ტარიფები განთავსებულია და ხელმისაწვდომია **ვებგვერდზე** და/ან **ბანკის** ფილიალებსა და სერვის ცენტრებში.
- 1.10. **ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული წესები და/ან ნებისმიერი **შემადგენელი დოკუმენტით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესები და პირობები იმ მიზნით, რომ იგი (ისინი) შეესაბამებოდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებს, შეცვლილ საბაზრო პირობებს, საბანკო პრაქტიკასა და **კანონმდებლობას**. ამასთან, ნებისმიერი ასეთი ცვლილების შესახებ **ბანკი** საჯაროდ გაავრცელებს შესაბამის ინფორმაციას (**ვებგვერდზე** და/ან **ბანკის** ფილიალებში/სერვისცენტრებში ინფორმაციის განთავსებით ან ინფორმაციის სხვა ფორმით გავრცელების გზით).
- 1.11. **ანგარიშზე** თანხის შეცდომით ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 1 (ერთი) **დღის** ვადაში **კლიენტი** ვალდებულია, შეატყობინოს **ბანკს** შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და აღნიშნული თანხა უკანვე დაუბრუნოს მას, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრულებლობისას **ბანკი** უფლებამოსილია დააკისროს **კლიენტს** ჯარიმა – შეცდომით ჩარიცხული თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული **დღისათვის**.
- 1.12. **კლიენტი** ვალდებულია, სალაროდან თანხის განაღდების შემთხვევაში განაღდებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე **ბანკისათვის** მისაღები ფორმით შეატყობინოს **ბანკის** შესაბამის ფილიალს:
 - ა) თუ ცენტრალური ფილიალის სალაროდან გასანაღდებელი თანხა აღემატება 100,000 (ასი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტით;
 - ბ) თუ ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, დელისის ან გლდანის ფილიალების სალაროდან გასანაღდებელი თანხა აღემატება 70,000 (სამოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტით;
 - გ) თუ ყველა სხვა ფილიალის ან სერვისცენტრის სალაროდან გასანაღდებელი თანხა აღემატება 30,000 (ოცდაათი ათასი) ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტით.

- 1.13. **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკს** მისცეს მხოლოდ იმგვარი დავალებები **ანგარიშზე გადახდის ოპერაციების** საწარმოებლად, რომლებიც არ არის **კანონმდებლობით** აკრძალული და/ან მიზნად არ ისახავს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ან კანონსაწინააღმდეგო ქმედების, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსებას.
- 1.14. **კლიენტს** უფლება აქვს, **კანონმდებლობით** გათვალისწინებული წესით **მესამე პირებზე** გასცეს მინდობილობა **ანგარიშებზე** ოპერაციების საწარმოებლად.
- 1.15. თუ **კანონმდებლობით** სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, **კლიენტს** უფლება აქვს, ისარგებლოს **ბანკის** მიერ შეთავაზებული მომსახურების დამატებითი ტიპებით.
- 1.16. **პირობებიდან**, აგრეთვე, სხვა საბანკო პროდუქტებიდან, მათ შორის, კრედიტით სარგებლობიდან გამომდინარე ნებისმიერი გადახდა ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში **კლიენტმა** უნდა განახორციელოს **ბანკის სამუშაო საათებში** (თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული). ამასთანავე, აღნიშნული არ წარმოშობს **ბანკის** ვალდებულებას, ამგვარი დავალება შეასრულოს **ბანკის სამუშაო საათების** დასრულებამდე. **ბანკის არასამუშაო დღეს** და/ან **ბანკის არასამუშაო საათებში** და/ან **საოპერაციო დღის** დასრულების შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა - გადახდილად მიიჩნევა მომდევნო **სამუშაო დღეს**. აღნიშნული წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ გადახდა განხორციელება **ბანკის** 24-საათიან სერვისცენტრში.
- 1.17. **პირობებიდან**, აგრეთვე, სხვა საბანკო პროდუქტებიდან, მათ შორის, კრედიტით სარგებლობიდან გამომდინარე ნებისმიერი გადახდა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მათ შორის, **ინტერნეტბანკის** გამოყენებით, **კლიენტმა** უნდა განახორციელოს **საოპერაციო დღის** განმავლობაში (თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული). ამასთან, აღნიშნული არ წარმოშობს **ბანკის** ვალდებულებას, ამგვარი დავალება შეასრულოს **საოპერაციო დღის** დასრულებამდე. **ბანკის არასამუშაო დღეს** და/ან **საოპერაციო დღის** დასრულების შემდგომ განხორციელებული ნებისმიერი გადახდა გადახდილად მიიჩნევა მომდევნო **საბანკო დღეს**. ამასთან, თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, **საოპერაციო დღის** განმავლობაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მათ შორის, **ინტერნეტბანკით** განსახორციელებელი გადარიცხვები **ბანკის** მიერ შესრულდება (გადაირიცხება) არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღის** დასრულებისა.
- 1.18. **ბანკის** მიერ **საგადახდო დავალების** შესრულების დრო განისაზღვრება შემდეგნაირად:
- 1.18.1. **ბანკის** სისტემის გარეთ გადარიცხვის მიზნებისთვის:
- **16:30 საათამდე საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტით** მიღებულად ჩაითვლება იმავე **საოპერაციო დღეს** და შესრულდება **ბანკის** მიერ იმავე დღის რიცხვით. **16:30 საათის შემდეგ** - მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საოპერაციო დღის** რიცხვით და შესრულდება **ბანკის** მიერ მომდევნო **საოპერაციო დღეს**.
 - **16:30 საათამდე საგადახდო დავალება** აშშ დოლარით მიღებულად ჩაითვლება იმავე **საოპერაციო დღეს** და შესრულდება **ბანკის** მიერ იმავე **საოპერაციო დღის** რიცხვით. **16:30 საათის შემდეგ** - მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საოპერაციო დღის** რიცხვით და შესრულდება **ბანკის** მიერ მომდევნო **საოპერაციო დღეს**.
 - **16:00 საათამდე საგადახდო დავალება** ევროთი მიღებულად ჩაითვლება იმავე **საოპერაციო დღეს** და შესრულდება **ბანკის** მიერ იმავე **საოპერაციო დღის** რიცხვით. **16:00 საათის შემდეგ** - მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საოპერაციო დღის** რიცხვით და შესრულდება **ბანკის** მიერ მომდევნო **საოპერაციო დღეს**.
 - **16:00 საათამდე საგადახდო დავალება** ფუნტით მიღებულად ჩაითვლება იმავე **საოპერაციო დღეს** და შესრულდება **ბანკის** მიერ იმავე **საოპერაციო დღის** რიცხვით. **16:00 საათის შემდეგ** - მიღებულად ჩაითვლება მომდევნო **საოპერაციო დღის** რიცხვით და შესრულდება **ბანკის** მიერ მომდევნო **საოპერაციო დღეს**.
- 1.18.2. **ბანკის** სისტემის შიგნით გადარიცხვის მიზნებისთვის:
- **საგადახდო დავალება** ნებისმიერ ვალუტაში მიღებულად ჩაითვლება იმავე დღეს და შესრულდება **ბანკის** მიერ იმავე დღის რიცხვით 16:30 საათამდე **სამუშაო დღებში**.
 - **საგადახდო დავალება** ნებისმიერ ვალუტაში მიღებულად ჩაითვლება იმავე დღეს და შესრულდება იმავე დღის რიცხვით **შაბათს 14:00 საათამდე**.
- 1.19. როგორც ნაღდი ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით განხორციელებული გადახდებისას **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი მის მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული რეკვიზიტების სისწორეზე. **ბანკი** პასუხს არ აგებს **საგადახდო დავალების** შეუსრულებლობისთვის ან არასწორად შესრულებისთვის, რომელიც გამოწვეულია **კლიენტის** მიერ წარმოდგენილ საგადახდო დავალებაში მითითებული არასწორი ინფორმაციით.
- 1.20. **ბანკის** მიერ **გადახდის ოპერაცია ბანკის** მიერ შესასრულებლად მიიღება თუ არსებობს **კლიენტის** თანხმობა **გადახდის ოპერაციის** განხორციელებაზე. **კლიენტს** შეუძლია თანხმობა გასცეს **ბანკის** ფილიალში/სერვის ცენტრში **საგადახდო დავალებაზე** ხელმოწერით, წარმომადგენლის მეშვეობით ან დაადასტუროს **საგადახდო დავალება** ი. ბანკში ან მოზაილ ბანკში **პაროლით**. **ბანკი საგადახდო დავალებას** შესასრულებლად მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ **კლიენტის** დავალებაზე დატანილი ხელმოწერა ედრება **ხელმოწერის ნიმუშს**, ხოლო **ბეჭდით** დაუმოწმებელი დავალებები შესასრულებლად მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** წარდგენილ ხელმოწერათა ნიმუშებიან ბარათში არ არის დაფიქსირებული **ბეჭდი**.

- 1.21. **კლიენტის** მიერ წარმოსადგენი რეკვიზიტების ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა **საგადახდო დავალების** შესასრულებლად ასევე, **საგადახდო დავალების** შესასრულებლად დადგენილი **საკომისიოს** ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი **დანართით**.
- 1.22. თუ **გადახდის ოპერაცია** დაკავშირებულია ვალუტის კონვერტაციასთან, კონვერტაცია მოხდება გადახდის (**საგადახდო დავალების**) **ბანკის** მიერ შესრულების დღის არსებული **ბანკის** კომერციული კურსით.
- 1.23. **უცხოური ვალუტის** გაცვლითი კურსების სია განთავსებულია **ბანკის** ოფიციალურ ვებ გვერდზე - **www.br.ge**.
- 1.24. თუ **გადახდის ოპერაციის** განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური შუამავალი - უცხოური შუამავლის მიერ შესაძლოა მოხდეს საკომისიოს დაკავება, რომლის ოდენობაზეც **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი.
- 1.25. **კლიენტს** არ აქვს უფლება, გააუქმოს **გადახდის ოპერაცია** თუ იგი მიღებულია **ბანკის** მიერ შესასრულებლად.
- 1.26. თუ **ბანკსა** და **კლიენტს** შორის შეთანხმება ითვალისწინებს **გადახდის ოპერაციის** შესრულებას მომავალი თარიღით - **კლიენტს** უფლება აქვს, გამოითხოვოს გადახდის ოპერაციის შესასრულებლად ინიცირებული **საგადახდო დავალება** არა უგვიანეს შეთანხმებული დღის წინა **სამუშაო დღის 17:30** საათისა. ამასთან, **საგადახდო დავალების** გამოთხოვის მიზნებისთვის: **კლიენტი** ვალდებულია მივიდეს **ბანკის** ფილიალში/სერვის ცენტრში და წერილობით მოითხოვოს **გადახდის ოპერაციის** გაუქმება.
- 1.27. **ბანკი** უფლებამოსილია დახუროს **კლიენტის** ანგარიში **კლიენტის** მიერ **პირობებით** ნაკისრი ვალდებულების დარღვევის, **ანგარიშზე 6 (ექვსი)** თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის ან/და **ანგარიშის** მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განხორციელებად არ ჩაითვლება **საკომისიოს** გადარიცხვა/ჩამოწერა **კლიენტის ანგარიშიდან**). **ბანკში კლიენტს** ანგარიში ასევე დაეხურება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. **ანგარიშის** დახურვის შემთხვევაში **კლიენტს** დაუბრუნდება შესაბამის **ანგარიშზე** რიცხული თანხა.
- 1.28. თუ **კლიენტს** აღარ სურს, ისარგებლოს რომელიმე ან ყველა **ანგარიშით** მან შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს **ბანკს**. ამასთან, გარდა წერილობითი **განაცხადისა კლიენტის** მიერ **განაცხადი** შეიძლება იქნეს გაკეთებული დისტანციურად შესაბამისი სატელეფონო კომუნიკაციის, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი შეტყობინების და/ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმის შეტყობინების **ბანკისათვის** ჩაბარებით. **ბანკის** მიერ შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი ვადა და/ან პირობები **ანგარიშის** დახურვისთვის.

დანართი
ინტერნეტბანკი და მობაილ ბანკი

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ავტორიზაცია	კლიენტის მიერ ინტერნეტბანკის მეშვეობით ინიცირებული ოპერაციისათვის მსვლელობის მიცემა ბანკის საოპერაციო სისტემაში, რის შემდეგაც ოპერაცია აისახება ბანკის ბალანსში
ინტერნეტბანკი	დისტანციური საბანკო მომსახურება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინტერნეტში ჩართული შესაბამისი მოწყობილობიდან ბანკთან დისტანციურად დაკავშირება, ნებადართული ანგარიშების შემოწმება, გადარიცხვებისა და სხვა საბანკო ოპერაციების წარმოება ბანკში მიუსვლელად
მობაილბანკი	მობილური ტელეფონის აპლიკაცია, რომელიც ინსტალირდება ე.წ. სმარტფონის ტიპის მობილურ ტელეფონებზე და რომელიც შესაძლებლობას აძლევს კლიენტს, მობილური ტელეფონიდან ისარგებლოს მსგავსი მომსახურებით, რითაც სარგებლობს ინტერნეტბანკის შემთხვევაში
ნებადართული ანგარიშ(ებ)ი	ანგარიშები, რომლებზეც კლიენტს და/ან ავტორიზებულ პირებს აქვთ წვდომის უფლება
საბანკო ავტორიზაცია	ბანკის დასტური ინტერნეტ ბანკით ინიცირებული ოპერაციაზე, რის შემდეგაც ოპერაცია ითვლება ბანკის მიერ შესრულებულად
წვდომის უფლება	ინტერნეტბანკის მეშვეობით ნებადართული ანგარიშების ნახვის და/ან ამგვარ ანგარიშებზე ოპერაციების წარმოების შესაძლებლობა

1.2. კლიენტი ინტერნეტბანკის მეშვეობით და ფიზიკური დოკუმენტების გარეშე აწარმოებს ელექტრონულ ანგარიშსწორებას როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტით. კლიენტსა და ბანკს შორის ელექტრონული ანგარიშსწორება რეგულირდება წინამდებარე პირობებით და კანონმდებლობით, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნორმატიული აქტებით.

1.3. მესამე პირთა მხრიდან ნებადართული ანგარიშებთან არასანქცირებული წვდომის თავიდან აცილების მიზნით კლიენტი და ნებისმიერი ავტორიზებული პირი ვალდებულია, დაიცვას ინტერნეტბანკის სარგებლობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების შემდეგი ზომები:

1.3.1. კონფიდენციალურად დაიცვას ინტერნეტბანკში წვდომის უფლების მოსაპოვებლად აუცილებელი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია - მომხმარებლის სახელი და წვდომის პაროლი, რისთვისაც აუცილებელია, რომ მან:

- ინტერნეტბანკში პირველივე შესვლისას შეცვალოს ბანკის მიერ მინიჭებული თავდაპირველი პაროლი;
- არ გადასცეს საიდენტიფიკაციო ინფორმაცია მესამე პირს, მათ შორის, ბანკის თანამშრომელს;
- არ დააფიქსიროს საიდენტიფიკაციო ინფორმაცია საფულეზე, მობილურ ტელეფონში, ბლოკნოტში, პერსონალურ კომპიუტერში ან სხვა ადგილას, რომელიც შესაძლოა ხელმისაწვდომი აღმოჩნდეს მესამე პირთათვის.

1.3.2. ინტერნეტბანკით ყოველი სარგებლობისას შეამოწმოს, რომ დაკავშირება მოხდა ბანკის ინტერნეტ გვერდიდან, რომლის ზუსტი მისამართია: www.MyBank.ge;

1.3.3. ინტერნეტბანკთან ყოველი დაკავშირებისას შეამოწმოს ინტერნეტ გვერდის უსაფრთხოების სერტიფიკატი და დარწმუნდეს, რომ სერტიფიკატი მოქმედია;

1.3.4. იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ გვერდის უსაფრთხოების სერტიფიკატი ვადაგასულია კლიენტმა არ უნდა განახორციელოს ინტერნეტ ბანკში შესვლა;

1.3.5. მინიმუმ სამ თვეში ერთხელ, ხოლო ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში უფრო მოკლე ვადაში, შეცვალოს ინტერნეტბანკში წვდომის პაროლი;

1.3.6. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ინტერნეტბანკში წვდომის მოსაპოვებლად საჭირო პაროლის, დაკარგვის/დავიწყების შესახებ შემდეგ ტელეფონზე: +995 (32) 290 90 90 ან *9090 დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში;

1.4. კლიენტი ვალდებულია გაეცნოს ინტერნეტბანკით სარგებლობის შეზღუდვებს, წესებს და მომსახურების ტარიფებს, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.MyBank.ge.

- 1.5. **ბანკი** ვალდებულია, უზრუნველყოს **ნებადართულ ანგარიშებთან ინტერნეტბანკის** მეშვეობით **კლიენტის** წვდომის შესაძლებლობა და მოემსახუროს **კლიენტს ნებადართულ ანგარიშებზე ინტერნეტბანკის** ფუნქციური შესაძლებლობებით დაშვებული ნებისმიერი საბანკო ოპერაციის განხორციელების დროს.
- 1.6. **ბანკი** ვალდებულია, **ინტერნეტბანკის** გააქტიურების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მიაწოდოს **კლიენტს ინტერნეტბანკში** წვდომისათვის აუცილებელი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია: საიდენტიფიკაციო კოდი, მომხმარებლის სახელი და წვდომის პაროლი.
- 1.7. **ბანკი** ვალდებულია, შეაჩეროს **ინტერნეტბანკში კლიენტის წვდომის უფლება კლიენტისაგან ინტერნეტბანკში** წვდომისათვის აუცილებელი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღისა**.
- 1.8. **ბანკი** ვალდებულია, აწარმოოს ელექტრონული ინფორმაციისა და საბუთების არქივში შენახვა **კანონმდებლობით** განსაზღვრული ვადით.
- 1.9. **კლიენტი** ვალდებულია, მიაწოდოს **ბანკს კანონმდებლობით** გათვალისწინებული, მათ შორის, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
- 1.10. **კლიენტი** ვალდებულია დაიცვას **ინტერნეტბანკით** სარგებლობის ზოგადი წესები.
- 1.11. **კლიენტი** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ **ინტერნეტბანკის** გამოყენებით შესრულებულ ნებისმიერ შეტყობინებას/ოპერაციას აქვს **ნებადართული ანგარიშის** განკარგავაზე უფლებამოსილი პირის მიერ ქალაქის საბუთის დადასტურების ტოლფასი იურიდიული ძალა.
- 1.12. შესაბამის დოკუმენტზე ხელმოწერით და/ან ასეთი ფაქტის სხვაგვარად დადასტურებით, მათ შორის, **ინტერნეტბანკით** თუნდაც ერთხელ სარგებლობით, **კლიენტი** ადასტურებს **ინტერნეტბანკში წვდომის უფლების** მოსაპოვებლად საჭირო საიდენტიფიკაციო ინფორმაციის, მომხმარებლის სახელის და წვდომის ერთჯერადი პირველადი პაროლის **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის** გადაცემის ფაქტს.
- 1.13. **ინტერნეტბანკით** სარგებლობისას **კლიენტს** შეუძლია **ნებადართულ ანგარიშებთან** ინტერნეტის მეშვეობით წვდომა და მათზე **ინტერნეტბანკის** ფუნქციური შესაძლებლობებით დაშვებული შემდეგი ოპერაციების განხორციელება:
 - 1.13.1. **ნებადართული ანგარიშის** მართვა;
 - 1.13.2. **ნებადართულ ანგარიშზე** არსებული ნაშთის ნახვა, ანგარიშიდან ამონაწერის მიღება და, ასევე, ანგარიშის შესახებ სხვადასხვა საცნობარო სახის ინფორმაციის მიღება;
 - 1.13.3. **ნებადართული ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვა;
 - 1.13.4. კონვერტაციის წარმოება;
 - 1.13.5. სესხის დაფარვის და ანაბარზე თანხის გადატანის ოპერაციების წარმოება **ბანკს** და **კლიენტს** შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;
 - 1.13.6. კომუნალური და სხვადასხვა სახის მომსახურების გადახდა;
 - 1.13.7. **ბანკისათვის** სხვადასხვა შეტყობინების და დავალების გაგზავნა.
- 1.14. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **საბანკო ავტორიზაციის** მიცემის შემდეგ შეუძლებელია **ინტერნეტბანკით კლიენტის** მიერ მისი გაუქმება.
- 1.15. **მობილბანკზე** წვდომა ხორციელდება მომხმარებლის იმავე სახელითა და პაროლით, რომელთა მეშვეობითაც **კლიენტი** შედის **ინტერნეტ ბანკში**.
- 1.16. თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, **კლიენტი** ვალდებულია, **მობილბანკით** სარგებლობისას დაიცვას ყველა ის წესი და პროცედურა, რომლებიც დადგენილია **ინტერნეტბანკით** სარგებლობისათვის.

დანართი
დისტანციურ საბანკო მომსახურება - Mail Banking

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

- 1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
დისტანციურ საბანკო მომსახურება გულისხმობს, **ბანკის** მიერ დადგენილი კრიტერიუმების - Mail Banking (შემდგომში საფუძველზე და დადგენილი პირობებით, საბანკო ოპერაციების შესრულებას **კლიენტის** მიერ ელ. ფოსტით, **ინტერნეტ-ბანკით** და/ან **ბანკისთვის** მისაღები და **ბანკთან** შეთანხმებული სხვა საშუალებებით, **ბანკისთვის** გაგზავნილი დავალების შესაბამისად.
- 1.2. **მომსახურების** შეთავაზება ხდება **ბანკის** მხოლოდ იმ **კლიენტებისთვის**, რომლებიც აკმაყოფილებენ **ბანკის** მიერ დადგენილ კრიტერიუმებს;
- 1.3. **ბანკი** პასუხს არ აგებს **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 1.4. **ბანკი** პასუხს არ აგებს **კლიენტის** მიერ **ბანკისთვის** მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის **ბანკის** მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.
- 1.5. ელექტრონული კომუნიკაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) საშუალებით **ბანკისთვის** გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას/დავალებას აქვს **კლიენტის** მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა;
- 1.6. **კლიენტისგან** მიღებული დავალების შესრულება/არშესრულების საკითხზე **ბანკი** გადაწყვეტილებას იღებს წინამდებარე ხელშეკრულებისა და **კანონმდებლობის** შესაბამისად;
- 1.7. **ბანკის** მიერ დადგენილი მოთხოვნები/კრიტერიუმები (რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია **მომსახურების** მისაღებად) **მომსახურების** ტარიფები და დეტალური ინფორმაცია (**მომსახურების** აღწერა), განთავსებულია **ბანკის** ინტერნეტ-გვერდზე - www.br.ge

**დანართი
ტელეფონ ბანკი**

წინამდებარე **დანართი** დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული **საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების** საფუძველზე (რომელზეც **კლიენტი** მიერთებულია ან ხელმოწერილია **კლიენტის** მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე **დანართით**, ამ **დანართში** და ფიზიკური პირებისათვის არსებული **საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში** მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა

1.1. წინამდებარე **დანართის** მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ტელეფონბანკი

ბანკი კლიენტს, რომელიც აკმაყოფილებს **ბანკის** მიერ დადგენილ მოთხოვნებს, აძლევს შესაძლებლობას, ტელეფონის საშუალებით მიიღოს სხვადასხვა კომპლექსური საბანკო მომსახურება **კოდური სიტყვისა** და **პერსონალური სატელეფონო კოდის** (პსკ) გამოყენებით 8 (რვა) ციფრისგან შემდგარი კომბინაცია, რომელიც საშუალებას აძლევს **კლიენტს**, ისარგებლოს **ტელეფონბანკით**. **ტელეფონკოდის** მიღების წესი მითითებულია ამ **დანართის** 1.9 პუნქტში

ტელეფონის კოდი

- 1.2. თუ **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, **ტელეფონბანკის** მომსახურების გაწევისათვის ერთდროულად აუცილებელია **ტელეფონის კოდი** და **კოდური სიტყვა**.
- 1.3. იმისათვის, რომ **კლიენტმა** ისარგებლოს **ტელეფონბანკის** მომსახურებით, აუცილებელია დაუკავშირდეს პირად ბანკირს ან **ბანკის** სატელეფონო სერვისცენტრს ნომერზე: (832) 290 90 90, მობილურიდან: *9090.
- 1.4. **ბანკის** მიერ დადგენილი შეზღუდვებისა და ლიმიტების ფარგლებში **კლიენტს**, მისი სრულად იდენტიფიცირების შემდგომ, **ტელეფონბანკით** შეუძლია შემდეგი ოპერაციების შესრულება:
 - ა) გადარიცხვები **ბანკის** შიდა საკუთარ მიმდინარე ანგარიშებზე;
 - ბ) კონვერტაცია;
 - გ) სადებეტო საბანკო ბარათის შეკვეთა (თუ **კლიენტს** უკვე აქვს **ბანკში ანგარიში**) და განახლება;
 - დ) დეპოზიტის გახსნა და/ან დეპოზიტის შევსება;
 - ე) ვადამდე სესხის ნაწილობრივი გადაფარვა;
 - ვ) ოვერდრაფტის ან საკრედიტო ბარათის დაფარვა.
- 1.5. **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** თანამშრომელს უთხრას **კოდური სიტყვა** და **პინკოდის** 3 ციფრი იმ თანმიმდევრობით, რომლითაც მოითხოვს **ბანკის** თანამშრომელი.
- 1.6. **ბანკის** მიერ **კლიენტის** სრულად იდენტიფიცირების შემდგომ მის მიერ ტელეფონის საშუალებით **ბანკისათვის** მიცემულ დავალებას იგივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც **ბანკის** ფილიალში **კლიენტის** მიერვე ხელმოწერილ შესაბამის დავალებას ან განცხადებას. **ბანკს** აქვს უფლება, შეინახოს **კლიენტთან** გასაუბრების აუდიოჩანაწერი და გამოიყენოს ის მტკიცებულებად.
- 1.7. **კლიენტის** მიერ **ტელეფონბანკის** საშუალებით განხორციელებულ ოპერაციებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება **კლიენტს**. **ბანკი** არ აგებს პასუხს **კლიენტის** მიერ დაშვებულ შეცდომებზე.
- 1.8. ტელეფონის საშუალებით განხორციელებული ოპერაციების კონფიდენციალურობაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება **კლიენტს**.
- 1.9. **ტელეფონის კოდის** მისაღებად **კლიენტმა** უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურა:
 - ა) განათავსოს **ბარათი** ბანკომატში;
 - ბ) შეიყვანოს **პინ-კოდი**;
 - გ) შევიდეს გადასახადების განყოფილებაში;
 - დ) აირჩიოს **ტელეფონის კოდი**;
 - ე) ჩაიწეროს ან ამობეჭდოს ბანკომატის მიერ მინიჭებული **ტელეფონის კოდი**.
- 1.10. **კოდური სიტყვა კლიენტმა** უნდა დაარეგისტრიროს **ტელეფონბანკის** მომსახურების აქტივაციისას, მიმდინარე ანგარიშის გახსნისას ან ფილიალში ვიზიტის დროს. **კოდური სიტყვის** და ამ **დანართის** 1.9 პუნქტში მითითებული პირობების დაცვის გარეშე **ტელეფონბანკით** მომსახურება არ განხორციელდება.
- 1.11. თუ **კოდური სიტყვა** და/ან **ტელეფონის კოდი** ცნობილი გახდება **მესამე პირისათვის**, **კლიენტი** ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და მოითხოვოს მათი შეცვლა. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დამდგარ შედეგებზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება **კლიენტს**.
- 1.12. **ტელეფონის კოდს** ვადა არ გააჩნია, მაგრამ არსებული კოდი შესაძლებელია შეიცვალოს ახლით. ამისათვის **კლიენტი** უნდა გამოცხადდეს **ბანკის** ფილიალში ან მიმართოს **ბანკის** სატელეფონო მომსახურების ცენტრს. განახლებული კოდის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ბანკომატის მეშვეობით ამ **დანართის** 1.9 პუნქტით დადგენილი წესების შესაბამისად.

- 1.13. **კლიენტის** მიერ **ტელეფონზანკით** განხორციელებული დავალების გაუქმება შეუძლებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ **ზანკის** მიერ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა (ავტორიზებული არ არის).
- 1.14. სატელეფონო მომსახურების გზით დეპოზიტის გახნის შემთხვევაში **კლიენტი** ვალდებულია, 15 (თხუთმეტი) **დღის** ვადაში მივიდეს **ზანკის** იმ ფილიალში, სადაც გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში და გააფორმოს (ხელი მოაწეროს) შესაბამისი დეპოზიტის ხელშეკრულებას. აღნიშნული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში **ზანკს** უფლება აქვს, არ დაარიცხოს სარგებელი **კლიენტის** სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებულ თანხას და აღნიშნულ ანგარიშზე აწარმოოს მხოლოდ ჩარიცხვის ტიპის ოპერაციები ან გადაიტანოს ამგვარ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხა **კლიენტის** სხვა ანგარიშზე.

**დანართი
SMS ბანკი**

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა

1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ნომერი	მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც კლიენტის მიერ ბანკისათვის გაცხადებულია, როგორც კლიენტის ნომერი და რომელზეც უნდა გაიგზავნოს SMS შეტყობინება
SMS შეტყობინება	ბანკის მიერ/ინიციატივით ნომერზე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება

1.2. SMS შეტყობინების გაგზავნის გზით ბანკი კლიენტს აწვდის ინფორმაციას კლიენტის ანგარიშების და საბანკო ოპერაციების შესახებ კლიენტის მიერ შესაბამის განაცხადში მითითებული მოთხოვნების და/ან შევსებული ინფორმაციის შესაბამისად.

1.3. კლიენტი SMS შეტყობინების მომსახურებით სარგებლობს მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეავსებს შესაბამის განაცხადს.

1.4. SMS შეტყობინების საშუალებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება კლიენტს. კლიენტს გაცნობიერებული აქვს, რომ ბანკისათვის მიწოდებული ნომერი კლიენტის მფლობელობაშია და თუ კლიენტი არ შეატყობინებს ბანკს ამ ფაქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ნომერზე გაგზავნილი ინფორმაცია მიჩნეულ იქნება კლიენტის მიერ მიღებულად. კლიენტი ადასტურებს და იღებს ვალდებულებას, დაუყონებლივ შეატყობინოს ბანკს ნომრის ცვლილების, ტელეფონის დაკარგვის, კლიენტის მიერ ტელეფონზე ან ნომერზე მფლობელობის გაუქმების და/ან სხვა იმგვარი ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მიერ კლიენტისათვის SMS შეტყობინების მომსახურების მიწოდებაზე.

დანართი
ავტომატური საგადახდო დავალება

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

- 1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
ავტომატური საგადახდო დავალება კლიენტის მიერ ბანკისათვის მიცემული დავალება, გარკვეული პერიოდულობით ანგარიშიდან კლიენტის სხვა ანგარიშზე ან/და მესამე პირის ანგარიშზე გადარიცხოს დავალებითვე განსაზღვრული თანხა
ანგარიში კლიენტის მიერ ბანკში გახსნილი ანგარიშ(ებ)ი, რომლიდანაც ავტომატური საგადახდო დავალების შესრულების მიზნით უნდა მოხდეს თანხის კლიენტის სხვა ანგარიშზე და/ან მესამე პირის ანგარიშზე გადარიცხვა
პრიორიტეტული ვალუტა მულტისავალუტო ანგარიშის არსებობისას კლიენტის დავალების შესრულებისთვის კლიენტის მიერ უპირატეს (პირველ) და შემდგომ ვალუტ(ებ)ად არჩეული ვალუტა/ვალუტები.
- 1.2. ავტომატური საგადახდო დავალების შესრულება დამოკიდებულია ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობაზე. თუ ანგარიშზე არ არის საკმარისი თანხა, აღნიშნული დავალება არ შესრულდება. თუ კლიენტის მიერ მითითებული თარიღ(ებ)ისთვის ავტომატური საგადახდო დავალება, სულ მცირე, სამჯერ არ შესრულდა ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის მიზეზით, მაშინ აღნიშნული დავალება შესაძლოა გაუქმდეს ბანკის შეხედულებისამებრ. ამასთან, ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური საგადახდო დავალების შესრულება არ მოხდება თუ მისი შესრულების შემთხვევაში ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი არ იქნება საკმარისი ავტომატური საგადახდო დავალების შესრულებისთვის ბანკის მიერ დაწესებული საკომისიოს გადასახდელად. მხარეები აგრეთვე თანხმდებიან, რომ ამ პუნქტის წინა წინადადებაში მითითებულ შემთხვევაში არ მოხდება ავტომატური საგადახდო დავალების ნაწილობრივ შესრულება.
- 1.3. რამდენიმე ავტომატური საგადახდო დავალების არსებობის შემთხვევაში დავალებების შესრულების რიგითობა დგინდება კლიენტის მიერ შევსებული შესაბამისი განაცხადით, ხოლო ამგვარი განაცხადის არარსებობის შემთხვევაში შესრულების რიგითობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ. ავტომატური საგადახდო დავალება შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი იმ ვალუტით, რომლითაც ბანკში დასაშვებია ანგარიშის გახსნა და ოპერაციების წარმოება. ასევე, თუ აღნიშნული ოპერაცია აკრძალული არ არის კანონმდებლობით და/ან ბანკის შიდა პროცედურებით.
- 1.4. ავტომატური საგადახდო დავალება შეიძლება შესრულდეს კლიენტის მიერ წინასწარ არჩეული სხვადასხვა პერიოდულობით განაცხადში აღნიშნული ინფორმაციის შესაბამისად.
- 1.5. ავტომატური საგადახდო დავალების აქტივაცია ან გაუქმება ხორციელდება კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 1.6. ავტომატური საგადახდო დავალება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს მინიმუმ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადების ბანკისათვის წარდგენის შემთხვევაში. გარდა ამისა, თუ დაიხურა ანგარიში ან მიმღების ანგარიში (თუ მიმღების ანგარიში გახსნილია სს „ბანკ რესპუბლიკაში“), რომელზეც უნდა გადაირიცხოს დავალებით გათვალისწინებული თანხა, ავტომატური საგადახდო დავალება ავტომატურად გაუქმდება.
- 1.7. თუ ავტომატური საგადახდო დავალების შესასრულებლად საჭიროა ანგარიშზე არსებული სხვადასხვა ვალუტის კონვერტაცია, ამ ოპერაციას ბანკი განახორციელებს კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კონვერტაციის მომენტში ბანკში არსებული კომერციული კურსის შესაბამისად. ავტომატური საგადახდო დავალების შესრულების მიზნებისთვის კლიენტი უფლებამოსილია განსაზღვროს პრიორიტეტული ვალუტა.
- 1.8. შეუსრულებელი ან/და შეცდომით შესრულებული ავტომატური საგადახდო დავალებით გამოწვეული ზიანისათვის ბანკს არ დაეკისრება რაიმე ვალდებულება იმ შემთხვევაში, თუ ავტომატური საგადახდო დავალება ვერ შესრულდა კლიენტის და/ან თანხის მიმღების მიზეზით, მათ შორის, თუ ანგარიშზე საკმარისი თანხა არ არის ან/და კლიენტმა ბანკს წარუდგინა მცდარი ინფორმაცია.

დანართი
ავტომატური კომუნალური გადახდები

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

- 1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ავტომატური გადახდები ან Direct Debit	ავტომატური გადახდების მომსახურება გამოიყენება კომუნალური, საკომუნიკაციო და სხვა მომსახურების დავალიანების ავტომატურად დაფარვისათვის
მომსახურე ორგანიზაცია	პროვაიდერი კომუნალური, საკომუნიკაციო ან სხვა ტიპის მომსახურების მომწოდებელი კომპანია, რომლის მომსახურების საზღაურს იხდის კლიენტი Direct Debit საშუალებით
- 1.2. **ავტომატური გადახდები** წარმოადგენს მომსახურებას, რომლის საშუალებითაც კლიენტი უფლებამოსილია გადაიხადოს კომუნალური დავალიანება და ან ნებისმიერი სხვა დავალიანება **მომსახურე (პროვაიდერი) ორგანიზაციის** სასარგებლოდ.
- 1.3. **ავტომატური გადახდების** მომსახურების გააქტიურების მიზნით კლიენტი უნდა გამოცხადდეს **ბანკში** ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით შეავსოს **განაცხადი** და/ან დავალების ფორმა **ბანკის** მიერ დადგენილი წესით და ხელი მოაწეროს **განაცხადს**.
- 1.4. Direct Debit-ის ოპერაციების ვადა, პერიოდულობა, თანხის ოდენობა და სხვა დეტალები მოცემულია თითოეულ **ავტომატურ გადახდასთან** დაკავშირებით კლიენტის მიერ შევსებულ შესაბამისი დავალების ფორმაში და/ან **განაცხადში**.
- 1.5. **ავტომატური გადახდებით** მომსახურება ხორციელდება მხოლოდ **ეროვნული ვალუტით**. თუ კლიენტის მიერ მიცემულ დავალებაში ასევე მითითებულია სხვა ვალუტებში არსებული ნაშთების ათვისება და **ავტომატური გადახდების** შესასრულებლად საჭიროა **ანგარიშზე** არსებული სხვადასხვა ვალუტის კონვერტაცია, ამ ოპერაციას **ბანკი** განახორციელებს **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე და კონვერტაციის შედეგად მიღებულ თანხას მიმართავს **ავტომატური გადახდების** დავალების შესასრულებლად.
- 1.6. **ბანკი** უფლებამოსილია შეუწყვიტოს **კლიენტს ავტომატური გადახდებით** მომსახურება თუ **კლიენტს** ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში **ანგარიშზე** არ აქვს საკმარისი ნათში დავალების შესასრულებლად ან/და **კლიენტს** ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში **მომსახურე პროვაიდერის ორგანიზაციის** სასარგებლოდ არ ერიცხება დავალიანება.

**დანართი
ბარათი**

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

- 1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- | | |
|----------------------------------|---|
| ბარათი | ბანკის მიერ კლიენტისთვის დამზადებული საგადახდო პერსონიფიცირებული საბანკო ბარათი, რომელს მეშვეობითაც კლიენტი განკარგავს ანგარიშზე არსებულ თანხებს |
| ბარათის მფლობელი | კლიენტის მიერ განაცხადით განსაზღვრული ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც კლიენტის დავალებით ბანკის მიერ დაუმზადდა და გადაეცა დამატებითი ბარათი |
| დამატებითი ბარათი | ბარათი , რომელის მეშვეობითაც კლიენტი და/ან ბარათის მფლობელი განკარგავენ ანგარიშზე არსებულ თანხებს |
| ავტორიზაცია | ტრანზაქციის დადასტურება პინ კოდით და/ან 3D უსაფრთხოების კოდით და/ან ონლაინ პაროლით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით და/ან ბანკის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით, რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს და/ან ბარათის მფლობელს და რომლის კონფიდენციალობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი და/ან ბარათის მფლობელი |
| არავტორიზებული ტრანზაქცია | ტრანზაქცია , რომელიც არ არის შესრულებული კლიენტის და/ან ბარათის მფლობელის ნებართვით და არ არის ავტორიზებული ბანკის, საპროცესინგო ცენტრის და/ან საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ გაცემული ნებართვა ბარათით და/ან ბარათის რეკვიზიტებით შესრულებულ ოპერაციაზე |
| საბანკო ავტორიზაცია | დაგვიანებული , დუბლირებული და/ან არაკორექტული ტრანზაქცია , რომლებიც გამოწვეულია სავაჭრო ან მომსახურების ობიექტის, საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან საპროცესინგო ცენტრის ტექნიკური მიზეზების გამო |
| არასწორად ტრანზაქცია | ბარათის 16 ნიშნა ნომერი, ბარათის მოქმედების ვადა, ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდი, ბარათზე მითითებული კლიენტის და/ან ბარათის მფლობელის სახელი და გვარი, პინ კოდი , 3D უსაფრთხოების კოდი , ონლაინ პაროლი და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობა |
| ბარათის რეკვიზიტები | საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული კომუნალური ან სხვა გადასახადების/გადასახდელების ტრანზაქციები , შესრულებული სს „ჯორჯიან ქარდის“ ქსელში ჩართულ ობიექტებში |
| ონლაინ გადახდები | სიტყვა, რომელიც ფიქსირდება კლიენტის მიერ ბარათის განაცხადის შევსებისას და/ან ნებისმიერი საბანკო ოპერაციისას, სატელეფონო შეტყობინებისას ბანკის მიერ განსაზღვრულ სხვა მონაცემებთან ერთად გამოიყენება კლიენტის იდენტიფიცირებისთვის და ცნობილია მხოლოდ კლიენტისთვის და ბანკისთვის |
| კოდური სიტყვა | ონლაინ გადახდებისთვის განკუთვნილი პაროლი, რომელიც გადაეცემა კლიენტის და/ან ბარათის მფლობელს პინ კოდთან ერთად და განკუთვნილია სს „ჯორჯიან ქარდის“ ქსელში ჩართულ ობიექტებში კომუნალური და/ან სხვა გადასახდელების გადახდისთვის |
| ონლაინ პაროლი | ვალუტა, რომელითაც კლიენტის და/ან ბარათის მფლობელმა შეასრულა ტრანზაქცია |
| ოპერაციის ვალუტა | ვალუტა, რომელითაც დამუშავდა ტრანზაქცია საერთაშორისო საგადახდო სისტემის და/ან ბანკის მიერ |
| ტრანზაქციის ვალუტა | ბარათით , როგორც საგადახდო საშუალებით, საქონლის ან მომსახურების შეძენისთვის გამყიდველს/მომსახურების ობიექტს და კლიენტის და/ან ბარათის მფლობელს შორის განხორციელებული |
| ტრანზაქცია | |

უკონტაქტო ბარათი	ოპერაცია მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით და ონლაინ გადახდები . ასევე, თანხის განაღდებას (ბანკომატიდან და/ან ბანკის სალაროდან) და/ან კონვერტაციის ოპერაცია
უკონტაქტო ტრანზაქცია	ბარათი , რომლითაც შესაძლებელია უკონტაქტო ტრანზაქციის შესრულება
საერთაშორისო საგადახდო სისტემა	ტრანზაქცია , რომლის შესრულებაც შესაძლებელია გადახდის მოწყობილობაში ბარათის განთავსების გარეშე
არასანქცირებული ოვერდრაფტი	VISA და MasterCard ან მსგავსი საქმიანობის განმახორციელებელი, საერთაშორისოდ აღიარებული პირი
პრიორიტეტული ვალუტა	ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ანგარიშზე სადებეტო ნაშთის ასახვა, რაც გამოწვეულია ვალუტის კონვერტაციის, დაწესებული საკომისიოს დარიცხვის და/ან საბანკო ავტორიზაციის მიღების გარეშე შესრულებული ტრანზაქციებით
3D უსაფრთხოების კოდი	მულტისავალუტო ანგარიშის არსებობისას კლიენტის მიერ უპირატეს (პირველ) და შემდგომ ვალუტ(ებ)ად არჩეული ვალუტა/ვალუტები
საპროცესინგო ცენტრი	ინტერნეტის მეშვეობით შესრულებული ტრანზაქციების ავტორიზაციის მიზნით ბანკის მიერ ბარათის მფლობელისთვის შესაბამის განაცხადში მითითებულ ნომერზე გაგზავნილი 6 ნიშნა კოდი. 3D უსაფრთხოების შესახებ დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://www.br.ge/ge/tqventvis/baratebi-da-angarishebi/3d-usaprtxoeba
ემიტენტის საკომისიო	სს „ჯორჯიან ქარდი“ და/ან ნებისმიერი სხვა პროვიდერი, რომელიც პასუხისმგებელია ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე (შეგროვებაზე), შენახვაზე, დამუშავებასა და დამუშავებული ინფორმაციის ბანკისთვის გადაცემაზე ანგარიშსწორების განსახორციელებლად
საერთაშორისო საგადახდო სისტემის კონვერტაციის კურსი	საერთაშორისო საგადახდო სისტემაში გაწერილი საკომისიო, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის კონვერტაციის კურსზე დადებულ დამატებით მარჟას და გამოიყენება ისეთი ოპერაციებისთვის, სადაც ტრანზაქციის ვალუტა განსხვავდება ბანკის საანგარიშსწორებო ვალუტისგან. ბანკის საანგარიშსწორებო ვალუტები Visa საერთაშორისო საგადახდო სისტემაში არის GEL, USD, EUR.
საბარათე კურსი	VISA და/ან MasterCard-ის მიერ დაწესებული კონვერტაციის კურსი, რომლის ხელმისაწვდომია შესაბამისად შემდეგ მისამართებზე: https://www.mastercard.com/global/currencyconversion/index.html http://www.visacemea.com/uv/exchange_rates.jsp
სტოპ-სია	ტრანზაქციებისთვის დადგენილი კომერციული კურსი, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ გვერდზე
განაღდებას ლიმიტი	იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი
ხარჯვის ლიმიტი	ბარათის მეშვეობით ბანკომატიდან ან ბანკის სალაროდან პოს ტერმინალით, ფულადი სახსრების განაღდებას ზღვრული სიდიდე, რომელიც დადგენილია ბანკის მიერ
ქვითარი	ბარათის მეშვეობით ფულადი სახსრების განკარგვის ზღვრული სიდიდე (განაღდებას გარეშე), რომელიც დადგენილია ბანკის მიერ პოს ტერმინალიდან/ბანკომატიდან ბარათის მეშვეობით წარმატებული/წარუმატებელი ტრანზაქციის დამადასტურებელი საბუთი

- 1.2. **ბარათის** დამზადების და მიღების მიზნით მიზნით **კლიენტი** უნდა გამოცხადდეს **ბანკში** ან **ბანკისათვის** მისაღები სხვა ფორმით შეავსოს და ხელი მოაწეროს **განაცხადს** და/ან დავალების ფორმა **ბანკისათვის** მისაღები ფორმით.
- 1.3. **მომსახურების** გაწევაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში **ბანკი** 7 (შვიდი) **სამუშაო დღის** განმავლობაში გაუხსნის **კლიენტს ანგარიშს** და უზრუნველყოფს **ბარათის** დამზადებას.
- 1.4. **ბანკი** გადასცემს **ბარათის კლიენტს** და/ან **მფლობელს ბარათს ბარათის** მოქმედების ვადით (გარდა ამ დანართით/პირობებით განსაზღვრული შემთხვევებისა), რომელიც განისაზღვრება მასზე გამოსახული თარიღით.

- 1.5. კლიენტი ვალდებულია, გადაუხადოს **ბანკს ბარათის** დამზადებასა და შემდგომ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა **საკომისიო**.
- 1.6. **ბანკს** უფლება აქვს, **კლიენტისაგან** განმარტებები და/ან ნებისმიერი დოკუმენტი **ბარათის** დამზადებაზე **განაცხადში** მითითებული ინფორმაციის და/ან განხორციელებული **ტრანზაქციის** შემოწმების მიზნით.
- 1.7. **ბარათზე** ტექნიკური წუნის არსებობის შემთხვევაში **ბანკი** ვალდებულია შეცვალოს **ბარათის მფლობელისთვის** გადაცემული **ბარათი კლიენტის** შესაბამისი მომართვიდან არა უმეტეს 15 (თხუთმეტი) **დღის** განმავლობაში. ეს პირობა ძალაშია, თუ **ბარათს** არ აღენიშნება მექანიკური, თერმული ან ქიმიური დაზიანების კვალი. **ბარათი** არ მიიჩნევა დაზიანებულად, თუ მისი მეშვეობით განხორციელდება თუნდაც ერთი წარმატებული **ტრანზაქცია ბარათის მფლობელზე** გადაცემის შემდეგ.
- 1.8. **ბანკს** უფლება აქვს, აუცილებლობის შემთხვევაში **ბარათის** მოქმედების ვადაში შეცვალოს **ბარათი** ახლით, რის შესახებაც შეატყობინებს **კლიენტს** 14 (თოთხმეტი) **დღით** ადრე.
- 1.9. **ბარათის** გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ ბანკომატებსა და სავაჭრო და/ან მომსახურების ობიექტში, სადაც აღნიშნულია შესაბამისი **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** (Visa ან MasterCard-ის) ნიშანი.
- 1.10. **უკონტაქტო ბარათების** შემთხვევაში **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელი** უფლებამოსილია 24 საათის განმავლობაში გააკეთოს არაუმეტეს 10 **უკონტაქტო ტრანზაქცია**. ამასთან, 24 საათიანი ვადის ათვლა იწყება პირველი **უკონტაქტო ტრანზაქციის** შესრულებიდან.
- 1.11. **უკონტაქტო ბარათების** შემთხვევაში **კლიენტი** და/ან **ბარათის მფლობელი** უფლებამოსილია **პინკოდით** დადასტურების გარეშე შეასრულოს **უკონტაქტო ტრანზაქციები ბანკის** გადახდის ობიექტებში არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) ლარის ოდენობით (თუ მომავალში **ბანკის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული). ამასთან, სავაჭრო ობიექტი (ან ნებისმიერი ის ობიექტი, სადაც შესრულდა **ტრანზაქცია**) უფლებამოსილია, დააწესოს განსხვავებული ლიმიტები (გაზარდოს ან შეამციროს) და შეზღუდვები **უკონტაქტო ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებით ასევე, მოითხოვოს ნებისმიერი **ტრანზაქციის პინკოდით** დადასტურება.
- 1.12. **კლიენტს** და/ან **ბარათის მფლობელს** უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს და მიიღოს **ბანკისგან ბარათით** სარგებლობის ინსტრუქცია, ვალუტის კონვერტაციის და **საკომისიოს** მოქმედი ტარიფები.
- 1.13. **კლიენტი** და/ან **ბარათის მფლობელი** პასუხისმგებელია **ბარათით** და/ან **ბარათის რეკვიზიტების** გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერ **ტრანზაქციაზე**, მათ შორის, **საბარათე ანგარიშის** დახურვის/**ბარათის** დაბრუნების/დაკარგვის შემდეგ **ბარათის** მოქმედების სრული ვადის განმავლობაში შესრულებულ **ტრანზაქციებზე**, გარდა იმ შემთხვევისა, თუ **ტრანზაქცია** არ არის **ავტორიზებული** და/ან შესრულებულია დაგარეული/მოპარული **ბარათით** და აღნიშნულის შესახებ **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელის** მიერ ინფორმირებულია **ბანკი** ამ **დანართით** განსაზღვრული წესით და გადახდილია საერთაშორისო **სტოპ-სიაში** განთავსების საფასური.
- 1.14. **ონლაინ გადახდების** შესასრულებლად **ბანკი** უზრუნველყოფს **კლიენტის** ჩართვას 3D უსაფრთხოების სერვისში, რაც არის დამატებითი დაცვის მექანიზმი და გულისხმობს ერთჯერადი კოდის გენერაციას **ბანკის** მიერ და მის გაგზავნას **კლიენტის** მიერ განაცხადში მითითებულ ნომერზე. **ბანკი** უზრუნველყოფს 3D უსაფრთხოების კოდის გაგზავნას საქართველოში რეგისტრირებული მობილური ოპერატორების ქსელში ჩართულ ნომერზე უსასყიდლოდ. 3D უსაფრთხოების კოდის მიღების მიზნით **კლიენტის** მიერ საერთაშორისო ნომრის მითითების შემთხვევაში, **ბანკს** უფლება აქვს **კლიენტს** გადახდევინოს 3D უსაფრთხოების კოდის მიწოდებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ამგვარი ხარჯები ჩამოწეროს **კლიენტის ანგარიშიდან**.
- 1.15. **კლიენტი** ვალდებულია, მკაცრად დაიცვას ამ **დანართით** განსაზღვრული **ბარათით სარგებლობის უსაფრთხოების წესები**, **ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებით **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილი წესები და რეკომენდაციები. ასევე, ვალდებულია უზრუნველყოს **ბარათის მფლობელისთვის** აღნიშნული წესების გაცნობა.
- 1.16. **კლიენტი** ვალდებულია, **ანგარიშზე** არსებული ნაშთის (მათ შორის **ოვერდრაფტის** თანხის გათვალისწინებით) გადაჭარბებით გახარჯვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ დააბრუნოს ეს თანხა და გადაჭარბებით გახარჯულ თანხაზეც გადაიხადოს **არასანქცირებული ოვერდრაფტისათვის** დადგენილი საპროცენტო განაკვეთი.
- 1.17. **კლიენტი** აცნობიერებს, რომ:
 - 1.17.1. **ბარათის** გამოყენება რეგულირდება **კანონმდებლობით**, ასევე **ბანკსა** და **საერთაშორისო საგადახდო სისტემას** შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და/ან **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით;
 - 1.17.2. **კლიენტი** პასუხისმგებელია ამ **დანართით** განსაზღვრული **ბარათით სარგებლობის უსაფრთხოების წესების**, **ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებით **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილი წესების და რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევაში მათ შორის, თუ ეს წესები დარღვეულია **ბარათის მფლობელის** მიერ;
 - 1.17.3. **ბარათით** განხორციელებული **ტრანზაქციის ანგარიშზე** ასახვის პროცესის შეჩერება შეუძლებელია;
 - 1.17.4. თუ თავად **კლიენტი** და/ან **ბარათის მფლობელი ბარათის** დამზადებიდან 4 (ოთხი) თვის განმავლობაში არ მიმართავენ **ბანკს ბარათის** მისაღებად - **ბარათი** გაუქმდება და **კლიენტს** არ დაუბრუნდება გადახდილი **საკომისიო**;

- 1.17.5. **ბარათის** ვადაზე ადრე გაუქმების შემთხვევაში **ბარათის** დამზადების **საკომისიო კლიენტს** უკან არ უბრუნდება;
- 1.17.6. **ბარათის** გამოყენება დაშვებულია **ბანკის, საპროცესინგო ცენტრის** და/ან **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** მიერ **ბარათისათვის** დადგენილი **განაღების ლიმიტ(ებ)ის, ხარჯის ლიმიტ(ებ)ისა** და გამოყენების წესების (მათ შორის შეზღუდვების) გათვალისწინებით;
- 1.17.7. იმის გათვალისწინებით, რომ **ბარათით ტრანზაქციების** განხორციელება ექვემდებარება **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** წესებს და პირობებს, თუ **ბარათზე** არსებული ვალუტა განსხვავდება **ბარათით** განსახორციელებელი **ტრანზაქციის** ვალუტისაგან, მოსალოდნელია კურსებს შორის მნიშველოვანი სხვაობა. ამასთან, ამ პუნქტში აღწერილ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მრავალჯერად კონვერტაციას, რაზეც **კლიენტი** აცხადებს თანმობას;
- 1.17.8. **არასანქცირებული ოვერდრაფტით** სარგებლობის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება წლიური 48%-ის ოდენობით;
- 1.17.9. **განაცხადით პრიორიტეტული ვალუტის** არ არჩევის შემთხვევაში, **პრიორიტეტულ ვალუტად** მიიჩნევა ეროვნული ვალუტა;
- 1.17.10. **კლიენტს** უფლება აქვს უარი თქვას **3D უსაფრთხოების კოდით** სარგებლობაზე სატელეფონო ცენტრის მეშვეობით, თუ იგი სარგებლობს საერთაშორისო ნომრით და არ სურს დამატებითი ხარჯების გაღება. ამასთან, **კლიენტი** თავად არის პასუხისმგებელი იმ **ტრანზაქციებზე**, რომლებიც შესრულდა **3D უსაფრთხოების კოდის** გარეშე. **კლიენტს** უფლება არ აქვს მოგვიანებით გაასაჩივროს ისინი.
- 1.17.11. სავაჭრო ობიექტი (ან ნებისმიერი ის ობიექტი, (მათ შორის სხვა საბანკო დაწესებულება) სადაც შესრულდა **ტრანზაქცია**) უფლებამოსილია, დააწესოს განსხვავებული ლიმიტები (გაზარდოს ან შეამციროს) და შეზღუდვები **ბარათით** სარგებლობასთან დაკავშირებით.
- 1.18. **კლიენტს** არ აქვს უფლება გამოიყენოს **ბარათი/ბარათის რეკვიზიტები**:
 - 1.18.1. საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული არალეგალური მიზნებისთვის;
 - 1.18.2. მის ძალაში შესვლამდე, ვადის გასვლის შემდეგ ან მას შემდეგ, რაც **კლიენტმა** მიიღო შეტყობინება მისი **ბარათის** ვადაზე ადრე გაუქმების შესახებ;
 - 1.18.3. თუ **ანგარიშზე** არ არის **ტრანზაქციის** შესრულებისთვის საკმარისი ნაშთი;
 - 1.18.4. მისთვის ცნობილი გახდა, რომ **ბარათი** მოპარულია ან **ბარათით/ბარათის რეკვიზიტებით** შესრულდა თუნდაც ერთი **ტრანზაქცია ავტორიზაციის** გარეშე ასევე, თუ **ბარათის მფლობელს** აქვს ეჭვი, რომ **მესამე პირისთვის** ცნობილი გახდა **ბარათის რეკვიზიტები**.
- 1.19. **ბარათი** წარმოადგენს **ბანკის** საკუთრებას და **კლიენტი** ვალდებულია, დაუბრუნოს ის **ბანკს**:
 - 1.19.1. **ბანკის** მოთხოვნის საფუძველზე;
 - 1.19.2. **ბარათის** მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში;
 - 1.19.3. **ბარათის** დაზიანების შემთხვევაში;
 - 1.19.4. **ბარათის** გაუქმების შემთხვევაში;
 - 1.19.5. **კანონმდებლობითა** და **პირობებით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
 - 1.19.6. **საბარათო ანგარიშის** გაუქმების შემთხვევაში.
- 1.20. **ბანკს** უფლება აქვს, შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება ან შეზღუდოს **კლიენტის** მიერ **ბარათის** მეშვეობით გამოსაყენებელი თანხის მოცულობა:
 - 1.20.1. **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელის** მიერ ამ დოკუმენტის რომელიმე პირობის და/ან **ბანკთან** დადებული რომელიმე გარიგებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში;
 - 1.20.2. **კლიენტის** მიერ **განაცხადში** ცრუ ინფორმაციის მითითების შემთხვევაში;
 - 1.20.3. **ბარათის** არაკანონიერად გამოყენების შემთხვევაში;
 - 1.20.4. **კლიენტის** გაკოტრებულად (თუ ასეთი გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობით) გამოცხადების შემთხვევაში;
 - 1.20.5. **ბანკის** უსაფრთხოების სისტემის მიერ **ტრანზაქციის** საეჭვოდ მიჩნევის შემთხვევაში;
 - 1.20.6. თუკი **ბარათით** განხორციელებული ოპერაცია ეწინააღმდეგება **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** მიერ დადგენილ პირობებს;
 - 1.20.7. **პინ-კოდის** ზედიზედ სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში;
 - 1.20.8. **3D უსაფრთხოების კოდის** ზედიზედ სამჯერ არასწორად შეყვანის შემთხვევაში;
 - 1.20.9. თუ **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელის** მიერ **ბარათის** გამოყენება არ მომხდარა ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში.
- 1.21. **ბანკის** მიერ **პირობების** 1.20.5 და 1.20.6 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში **ბარათის** მოქმედების შეჩერების და/ან **ბარათის** მეშვეობით გამოსაყენებელი თანხის მოცულობის შეზღუდვისას **კლიენტი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ბანკს** ამ შეზღუდვების მოხსნა. ამასთან, **ბანკი** იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნული შეზღუდვის მოხსნის შემდგომ ჩატარებულ **ტრანზაქციებზე**.
- 1.22. **ბანკი** უფლებამოსილია **კლიენტის** ნებისმიერი **ანგარიშიდან** უაქცეპტო წესით ჩამოწეროს:
 - 1.22.1. **ბარათის** ან მისი **რეკვიზიტების** გამოყენებით ჩატარებული ყველა ტრანზაქციით მიღებული თანხები;
 - 1.22.2. **საკომისიო** და **ოვერდრაფტის** პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- 1.22.3. საერთაშორისო საგადასახდლო სისტემისა და სხვა მომსახურე ბანკების მიერ დაწესებული ნებისმიერი საკომისიო;
- 1.22.4. **ბანკის** ფაქტობრივი დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია **ბარათის** უკანონო გამოყენების აღმოფხვრასთან როგორც **ბარათის მფლობელის**, ისე სხვა **მესამე პირის** მიერ (**ბარათის** დაბლოკვა, **სტოპ-სიაში** მოთავსება, **ბარათის** ამოღება და სხვა.);
- 1.22.5. მოქმედი **კანონმდებლობით** გათვალისწინებული გადასახადები;
- 1.22.6. ნებისმიერი დავალიანება (მათ შორის, **არასანქცირებული ოვერდრაფტი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)) მათ შორის დავალიანება წარმოქმნილი **ბარათის** ვადის გასვლის, გაუქმების ან წინამდებარე **პირობების** შეწყვეტის შემდეგ მიღებული სადებეტო ტრანზაქციებით, აგრეთვე, ამ ტრანზაქციებით გამოწვეული **ანგარიშზე** დარიცხული პროცენტი. ამასთან, კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში შეასრულოს კონვერტაცია დავალიანების დაფარვის დღეს **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით.
- 1.23. **კლიენტი განაცხადით** ირჩევს **პრიორიტეტული ვალუტას**, რომელზეც დამოკიდებულია **ტრანზაქციების** შესრულებისას, **ანგარიშზე** მათი ასახვა, კერძოდ:
- 1.23.1. თუ **ტრანზაქცია** შესრულებულია **ეროვნული ვალუტით**, **ანგარიშიდან** თანხის ჩამოჭრა განხორციელდება **ეროვნული ვალუტით**;
- 1.23.2. თუ **ანგარიში** გახსნილია მხოლოდ **ეროვნული ვალუტით**, ნებისმიერი ვალუტით შესრულებული **ტრანზაქციის** თანხა ჩამოიჭრება **ეროვნულ ვალუტაში** გახსნილი **ანგარიშიდან**. ამასთან, საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ **ტრანზაქციის** თანხა დაფიქსირდება ა) ევროში - თუ **ოპერაციის ვალუტა** არის ევრო, ბ) აშშ დოლარში - თუ **ოპერაციის ვალუტა** არის ლარის და ევროს გარდა ნებისმიერი სხვა ვალუტა. **ტრანზაქციის** თანხა ჩამოიჭრება ეროვნული ვალუტის კონვერტაციის გზით **საერთაშორისო საგადახდო სისტემის კონვერტაციის კურსით**, ხოლო **ტრანზაქციის ანგარიშზე** ასახვა მოხდება **საბარათე კურსით**;
- 1.23.3. თუ **ტრანზაქცია** შესრულებულია **უცხოური ვალუტით**, **ანგარიშიდან** თანხის ჩამოჭრა განხორციელდება იმ ვალუტაში, რომელიც ემთხვევა **ტრანზაქციის ვალუტას**;
- 1.23.4. **მულტისავალუტო ანგარიშის** არსებობის შემთხვევაში **ტრანზაქციის** თანხა ჩამოიჭრება/ დაიბლოკება **პრიორიტეტულ ვალუტაში**, მიუხედავად **ოპერაციის ვალუტისა**. შესაბამისად, **კლიენტი** აცნობიერებს, რომ **ბანკი** არ აგებს პასუხს **საკომისიოებზე** და საკურსო სხვაობებზე, მათ შორის თანხის ბლოკირების **დღის** და **ტრანზაქციის ბანკის** მიერ დამუშავის **დღის** კურსებს შორის სხვაობებზე, ასევე იმ შესაძლო ზიანზე ან/და ზარალზე, რომელიც შესაძლოა **კლიენტს** მიადგეს კონვერტაციის შედეგად **ანგარიშზე** წარმოქმნილი ბლოკირებული თანხების გამო. ამასთან, თუ **კლიენტს** არ აქვს საკმარისი თანხა **პრიორიტეტულ ვალუტაში**, **ბანკი** მოახდენს მულტისავალუტო ანგარიშის სხვა ვალუტიდან თანხის მიმართვას **პრიორიტეტულობის** მიხედვით. კონვერტაციის ოპერაციისას გამოყენებული იქნება **საბარათე კურსი**.
- 1.23.5. თუ **ოპერაციის ვალუტა** არ ემთხვევა **ანგარიშის** არცერთ ვალუტას, საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ **ტრანზაქციის** თანხა დაფიქსირდება ა) ევროში - თუ **ოპერაციის ვალუტა** არის ევრო, ბ) აშშ დოლარში - თუ **ოპერაციის ვალუტა** არის ლარის და ევროს გარდა ნებისმიერი სხვა ვალუტა. **ტრანზაქციის** დამუშავება (თანხის ჩამოჭრა) მოხდება იმ ვალუტის კონვერტაციის გზით, რომელიც **კლიენტის** მიერ არის მითითებული **პრიორიტეტულ ვალუტად** უცხოურ ვალუტებს შორის **საერთაშორისო საგადახდო სისტემის კონვერტაციის კურსით**, ხოლო **ტრანზაქციის ანგარიშზე** ასახვა მოხდება **საბარათე კურსით**. VISA ბარათების შემთხვევაში **საერთაშორისო საგადახდო სისტემის კონვერტაციის კურსს** დაემატება **ემიტენტის კოვერტაციის საკომისიო**. **ემიტენტის კოვერტაციის საკომისიო ზიზნეს ბარათისთვის** შეადგენს **ტრანზაქციის** თანხის 2 %-ს.
- 1.24. **ტრანზაქციის** დამუშავების შემდეგ **მულტისავალუტო ანგარიშზე** წარმოშობილი უარყოფითი ნაშთის გადაფარვა ხდება სხვა **ანგარიშებიდან**, ამასთან კონვერტაცია შესრულდება **საბარათე კურსით პრიორიტეტული ვალუტის** მიხედვით.
- 1.25. **კლიენტს** არ აქვს უფლება მოსთხოვოს **ბანკს** შეაჩეროს **ტრანზაქცია** მას შემდეგ, რაც **კლიენტი** განახორციელებს მას. **ბანკი** უფლებამოსილია გააუქმოს **ტრანზაქცია**, რომელიც **ავტორიზებულია**, მაგრამ ჯერ არ არის რეალურად გადახდილი (დაბლოკილია თანხა) იმ შემთხვევაში, თუ **ბანკს** აქვს სათანადო მტკიცებულება იმისა, რომ **ტრანზაქცია** გაუქმდა.
- 1.26. **ბანკის** ქსელში განხორციელებული **ტრანზაქციის** ასახვა **საბარათე ანგარიშზე** მოხდება არაუგვიანეს მომდევნო **სამუშაო დღისა**. სხვა **ბანკის** ქსელში განხორციელებული **ტრანზაქციის** დამუშავება დამოკიდებულია მომსახურე **ბანკის** მიერ აღნიშნული **ტრანზაქციის** წარდგენის პროცესზე, შესაბამისად **ბანკი** არ აგებს პასუხს **ტრანზაქციის** დაგვიანებით დამუშავებაზე. ამასთან, **კლიენტს** უფლება აქვს, გაასაჩივროს **ტრანზაქცია**, რომელიც დამუშავებულია 30 (ოცდაათი) **დღის** დაგვიანებით.
- 1.27. **ბარათს** სხვა **ბანკის** ბანკომატებსა და პოს ტერმინალებში გამოყენები შემთხვევაში **ბანკი** პასუხს არ აგებს:
- 1.27.1. იმ საკომისიოებზე, რომლებიც დაწესებულია მომსახურე **ბანკის** მიერ;
- 1.27.2. იმ შეზღუდვებზე და შეფერხებებზე რომლებიც გამოწვეულია **ბანკისაგან** დამოუკიდებელი მიზეზებით;
- 1.27.3. **ბარათის** მეშვეობით ჩატარებული **ტრანზაქციების** კანონიერებაზე;

- 1.27.4. სავაჭრო ობიექტის, სხვა საბანკო დაწესებულების (ან ნებისმიერი ის ობიექტის, სადაც შესრულდა **ტრანზაქცია**) მიერ დაწესებულ განსხვავებულ ლიმიტებზე და შეზღუდვებზე **ბარათით** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით.
- 1.27.5. ტექნიკურ ხარვეზებზე, რომელიც გამოწვეული **ტრანზაქციის** დამუშავებასთან და/ან დაყოვნებასთან.
- 1.28. **ბანკს** უფლება აქვს, შეუზღუდოს **კლიენტს ტრანზაქციის** შესრულების შესაძლებლობა, თუ **ტრანზაქციის** მოცულობა აჭარბებს **ხარჯვის ლიმიტს** და/ან **ანგარიშსწორების ლიმიტებს**. **ბანკის** მიერ დაწესებული **ხარჯვის ლიმიტები** და **განადღების ლიმიტები** მოცემულია **ბანკის ვებ გვერდზე**.
- 1.29. **ბანკი** ვალდებულია, გაუწიოს **ბარათის მფლობელს** კონსულტაცია **ტრანზაქციების** სისწორესთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტაში. **კლიენტის** განცხადების საფუძველზე **ბარათით** შესრულებული **ტრანზაქციის** გასაჩივრებისას, აწარმოოს სავაჭრო ობიექტის (ან ნებისმიერი იმ ობიექტის, სადაც შესრულდა **ტრანზაქცია**) მომსახურე ბანკთან **საერთაშორისო საგადახდო სისტემ(ებ)ის** წესებით **ტრანზაქციის** გასაჩივრების პროცესი. ამასთან, თუ, ამგვარი წარმოება **ბანკის** მხრიდან მოითხოვს დამატებით ხარჯებს, **ბანკი** უფლებამოსილია, ამგვარი ხარჯების დაფარვა მოსთხოვოს **კლიენტს**.
- 1.30. **კლიენტს** უფლება აქვს, გასაჩივროს **არაავტორიზებული ტრანზაქცია** თუ ამგვარი **ტრანზაქციის** შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 (ორმოცი) **დღეზე** მეტი და **კლიენტმა ბანკს** შეატყობინა **არაავტორიზებული ტრანზაქციის** შესახებ ამ **დანართით** განსაზღვრული წესით.
- 1.31. **კლიენტს** უფლება აქვს გასაჩივროს **არასწორად დამუშავებული ტრანზაქცია**, თუ ამგვარი **ტრანზაქციის** შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 (ასოთხმოცი) **დღეზე** მეტი და **კლიენტმა ბანკს** შეატყობინა **არასწორად დამუშავებული ტრანზაქციის** შესახებ ამ **დანართით** განსაზღვრული წესით.
- 1.32. **ბანკი** ვალდებულია, **კლიენტის** მიერ, ამ მუხლის 1.30 - 1.31 პუნქტების შესაბამისად **ტრანზაქციის** გასაჩივრების თარიღიდან არა უგვიანეს 180 (ასოთხმოცი) **დღისა** **კლიენტს** მიაწოდოს **ბანკის** გადაწყვეტილება. ამასთან, **ბანკს** უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი დრო, თუ გასაჩივრებული **ტრანზაქციის** შესახებ საჭიროა დამატებითი მოკვლევის ჩატარება.
- 1.33. **ბანკი** არ განიხილავს **კლიენტის** საჩივარს, თუ **ბარათის** დაკარგვისას **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელის** მხრიდან დარღვეული იქნა **პირობებით** განსაზღვრული უსაფრთხოების ნომრები და **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** რეკომენდაციები.
- 1.34. **კლიენტი** ვალდებულია **ბარათის** დაკარგვის/მოპარვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** და მოითხოვოს **ბარათის** მოქმედების შეჩერება - ბლოკირება, **კლიენტი** ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს **ბარათის** ბლოკირება, თუ მას ან **ბარათის მფლობელს** აქვთ ეჭვი, რომ **მესამე პირისთვის** ცნობილი გახდა **ბარათის რეკვიზიტები** და/ან **ბარათით** სრულდება **არაავტორიზებული ტრანზაქცია**.
- 1.35. **ბარათის** ბლოკირებისათვის **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელმა** უნდა მიმართოს **ბანკის** ნებისმიერ სერვის ცენტრს და შეავსოს **ბარათის** ბლოკირების განაცხადი ან თავად **კლიენტი** დაუკავშირდეს **ბანკის** სატელეფონო ცენტრს ტელეფონის ნომერზე: +995 (32) 290 90 90; *90 90 დღე-ღამეში 24 საათის და კვირაში 7 (შვიდი) **დღის** განმავლობაში და გაიაროს შესაბამისი იდენტიფიკაციის პროცედურა. **ბანკი** არ არის ვალდებული დაბლოკოს **ბარათი**, თუ **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელის** მიერ არ მოხდა შესაბამისი **განაცხადის** შევსება და ხელმოწერა და/ან **კლიენტმა** ვერ გაიარა **ბანკის** მიერ განსაზღვრული იდენტიფიკაციის პროცედურა **ბანკის** სატელეფონო ცენტრში.
- 1.36. **ბანკს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ **ტრანზაქციებზე**, რომლებიც განხორციელდა **ბარათის** დაბლოკვამდე.
- 1.37. თუ **ბანკის არასამუშაო დღეებში ბარათის მფლობელის** მიერ შეუძლებელია **ბარათის** ბლოკირების განაცხადის დაწერა ფილიალში და/ან **კლიენტის** მიერ შეუძლებელია **ბანკის** სატელეფონო ცენტრთან დაკავშირება - **კლიენტს** შეუძლია გამოიყენოს **საპროცესინგო ცენტრის ნომერი** +995 (32) 231 49 99 **ბარათის** დასაბლოკად. ამასთან, **კლიენტმა** უნდა გაიაროს შესაბამისი იდენტიფიკაციის პროცედურა **საპროცესინგო ცენტრში**. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი იმ **ტრანზაქციებზე**, რომელიც შესრულდა **ბარათით** თუ **ბარათის** ბლოკირებისას **კლიენტმა** ვერ გაიარა **ბანკის** მიერ განსაზღვრული შესაბამისი იდენტიფიკაციის პროცედურა.
- 1.38. **კლიენტისაგან ბარათის** დაკარგვის ან მოპარვის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არა უგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღისა** **ბანკი** ვალდებულია, შეაჩეროს **ბარათის** მოქმედება. **ბარათის** მოქმედების შეჩერების მიზნით **კლიენტმა** უნდა განაცხადოს თანხმობა, რომ მისი (**კლიენტის**) ხარჯით **ბარათი** შეტანილი იქნეს საერთაშორისო **სტოპ-სიაში**.
- 1.39. **ბანკი** პასუხს აგებს მხოლოდ **ბარათის** დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და **ბარათის** საერთაშორისო **სტოპ-სიაში** მოთავსების მიზნით **საკომისიოს** მიღების შემდეგ მომხდარ **არაავტორიზებულ ტრანზაქციაზე**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს **ტრანზაქციები** განხორციელდა **ბარათის განმკარგველთან** შეთანხმებით.
- 1.40. **ბარათის** დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში **ბანკს** უფლება აქვს **ანგარიშიდან** ჩამოწეროს **ბარათის** დაკარგვის/მოპარვის ფაქტიდან **ბარათის** დაკარგვასთან დაკავშირებით **ბანკში** მიღებულ შეტყობინებამდე პერიოდში განხორციელებული **ტრანზაქციების** შესაბამის თანხები.
- 1.41. **კლიენტი** უფლებას აძლევს **ბანკს**, მისცეს **მესამე პირს** ინფორმაცია **ბარათის** ან **ბარათის** სხვა **რეკვიზიტის** დაკარგვის, მოპარვის ან უკანონოდ გამოყენების შესახებ იმ მიზნით, რომ **ბანკმა** შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები, რომელიც გააჩნია **საერთაშორისო საგადახდო სისტემების** ან მარეგულირებელი ორგანოების მიმართ.

- 1.42. **ბანკი** არ აგებს პასუხს ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია დაკარგული/მოპარული **ბარათით** ან **მესამე პირის** მიერ, თუ **ტრანზაქცია** დადასტურებულია **ავტორიზებულია**. **ბანკი** ასევე არ აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ ჩატარებულ ისეთ **ტრანზაქციებზე**, რომელიც განხორციელებულია **კლიენტის** ნებართვით ან რომლის ჩატარებისას გამოიკვეთება **კლიენტის** თანამონაწილეობა.
- 1.43. **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი ცრუ სატელეფონო შეტყობინების შედეგად **ბარათის** დაბლოკვაზე.
- 1.44. **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელს** უფლება აქვთ, **ბარათის** მოქმედების ვადის მანძილზე ნებისმიერ დროს დაუბრუნოს **ბანკს ბარათი** და წერილობით მოითხოვოს მისი გაუქმება. ამასთან, **კლიენტი** ვალდებულია უზრუნველყოს განაცხადს მიღების მომენტისთვის არსებული დავალიანების დაფარვა (დაბლოკილი თანხების ჩათვლით). **ბანკი** უფლებამოსილია არ დახუროს **ანგარიში კლიენტის** განაცხადებიდან 14 (თოთხმეტი) **სამუშაო დღის** განმავლობაში. აღნიშნულ პერიოდში **კლიენტს** ეკრძალება მოახდინოს **ანგარიშიდან** თანხის გადარიცხვა, გატანა ან სხვა სახით განკარგვა. **ბანკს** უფლება აქვს საკუთარი შეხედულებისამებრ გააუქმოს/გააგრძელოს ეს შეზღუდვა თუ **ბანკს** მიაჩნია ან ეჭვი აქვს, რომ დახურულ **ანგარიშზე** შეიძლება მოხდეს თანხის ჩარიცხვა აღნიშნული პერიოდის შემდეგაც.
- 1.1. **ბანკი** ვერ უზრუნველყოფს **ბარათის** მოქმედების შეჩერებას **ბარათის ბანკისათვის** ჩაუბარებლობის შემთხვევაში ასევე, იმ შემთხვევაში თუ **ბარათის რეკვიზიტები** ცნობილია **მესამე პირისთვის** და შესაბამისად, **ბანკი** არ არის პასუხისმგებელი **ბარათით** შესრულებულ **ტრანზაქციებზე ბარათის** მოქმედების ვადაში მიუხედავად **ანგარიშის** დახურვისა. **ბარათის** მოქმედების შეჩერების მიზნით **კლიენტმა** უნდა განაცხადოს თანხმობა, რომ მისი (**კლიენტის**) ხარჯით **ბარათი** შეტანილი იქნეს საერთაშორისო **სტოპ-სიაში**.
- 1.2. **მესამე პირთა** მხრიდან **ბარათის** ან მისი მონაცემების არაკანონიერი გამოყენების გზით **კლიენტისთვის** ზარალის მიყენების თავიდან აცილების მიზნით **კლიენტის** და/ან **ბარათის მფლობელი** ვალდებულია განუხრელად დაიცვას უსაფრთხოების შემდეგი ზომები:
- 1.2.1. უზრუნველყოს **ბარათის რეკვიზიტების** კონფიდენციალურობის დაცვა, არ დაუშვას **მესამე პირისთვის** (მათ შორის ბანკის თანაშრომლისთვის) გადაცემა ან ხელმისაწვდომ ადგილზე შენახვა;
- 1.2.2. მხოლოდ თვითონ ისარგებლოს **ბარათით**, არ გადასცეს იგი **მესამე პირს**;
- 1.2.3. არ გადასცეს **ბარათის რეკვიზიტები მესამე პირს**;
- 1.2.4. არ დაუშვას **კოდური სიტყვის მესამე პირისთვის** გადაცემა/გამჟღავნება;
- 1.2.5. **ტრანზაქციის** განხორციელებისას **ბარათი** იქონიოს მეთვალყურეობის ქვეშ, არ გადასცეს/გაატანოს **ბარათი** სავაჭრო ობიექტის მომსახურე პერსონალს და/ან **მესამე პირს**;
- 1.2.6. იყოს განსაკუთრებით ყურადღებით ბანკომატის/ტერმინალის მეშვეობით **ტრანზაქციის** განხორციელებისას. ბანკომატში/ტერმინალში **პინკოდის** ციფრები შეიყვანოს დაფარულად (მაგ.: ხელის ან საფულის საშუალებით) **მესამე პირის** მიერ ფარული ჩამწერი მოწყობილობებით **პინკოდის** ჩაწერის თავიდან აცილების მიზნით;
- 1.2.7. **ბარათით** ოპერაციების განხორციელებისას **კლიენტმა** და/ან **ბარათის მფლობელმა** მომსახურე ობიექტის მიერ წარმოდგენილ ჩეკზე ან **ქვითარზე** ყურადღებით შეამოწმოს ასახული თანხის სისწორე;
- 1.2.8. შეინახოს **ქვითარი** და **ტრანზაქციასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია მომსახურების/საქონლის მიღებამდე და **ტრანზაქციის** ანგარიშზე ასახვის დღემდე უსაფრთხო ადგილას სადავო შემთხვევებში მათი **ბანკისთვის** წარმოდგენის მიზნით;
- 1.2.9. **ბარათის** გამოყენებისას ინტერნეტში დასაშვებია ოპერაციების განხორციელება მხოლოდ უსაფრთხო გადახდის სერტიფიკაციის მქონე ვებგვერდებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული **მესამე პირთა** მხრიდან **კლიენტისათვის** ზარალის მიყენება (ინტერნეტ ოპერაციების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რჩევები მოცეულია **ბანკის** ვებ გვერდზე <https://www.br.ge/usaprtxoebis-rekomendatsiebi>);
- 1.2.10. მიიღოს ყველა შესაძლო ზომა **ბარათის, ბარათის რეკვიზიტების** დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
- 1.3. **კლიენტის** ვალდებულია დაიცვას **საერთაშორისო საგადახდო სისტემის** უსაფრთხოების წესები და რეკომენდაციები, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს, შემდეგ მოქმედებებს:
- 1.3.1. ხელი მოაწეროს **ბარათს (ბარათის უკანა მხარეს** ამისათვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილზე - თეთრ ზოლზე) მისი მიღებისთანავე;
- 1.3.2. გაანადგუროს **პინკოდის** შემცველი ქვითარი, არ გადასცეს **პინკოდი მესამე პირს**, მათ შორის, **ბანკის თანაშრომელს**, არ დააფიქსიროს საფულეზე, მობილურ ტელეფონში, ბლოკნოტში ან სხვა ადგილას, რომელიც ადვილად შესაძლებელია აღმოჩნდეს **მესამე პირის** ხელში. დაუშვებელია ბარათის პინ კოდის დაფიქსირება თვით **ბარათის** ზედაპირზე;
- 1.3.3. **ბანკისთვის ბარათის** დაბრუნებისას მოითხოვოს და თავად დარწმუნდეს დაბრუნებული **ბარათის** ფიზიკურ განადგურებაში (სულ მცირე, ორად გაჭრის გზით);
- 1.3.4. დაკარგული/მოპარული **ბარათის** პოვნის/დაბრუნების შემთხვევაში მოითხოვოს მისი მოქმედების შეჩერება ამ **პირობებით** დადგენილი წესით, მომავალში სადავო ოპერაციების თავიდან აცილების მიზნით, ხოლო უკვე დაბლოკილი **ბარათის** შემთხვევაში არ მოითხოვოს მისი გააქტიურება;
- 1.3.5. დაკარგული **ბარათის** აღმოჩენის შემთხვევაში **ბარათი** უნდა დაუბრუნდეს **ბანკს**.

დანართი
Priority Pass-ით მომსახურება

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

- 1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
- | | |
|--------------------------------|--|
| აეროპორტი | საავიაციო საწარმო, რომელიც ახორციელებს საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებს, საჰაერო ხომალდების მოძრაობას და ამ მიზნით აქვს აეროდრომი, აეროვაგზალი, არგეთვე, სხვა მიწისზედა ნაგებობები, მოწყობილობები და ჰყავს მომსახურე პერსონალი |
| PP ბარათი | PPL-თან შეთანხმებით ბანკის მიერ კლიენტის სახელზე გაცემული Priority Pass ბარათი, რომელიც ადასტურებს პირის მონაწილეობას პროგრამაში და რომლის წარდგენის შემთხვევაში კლიენტს მიეცემა უფლება, შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვის პირობით შევიდეს დასვენების ზონაში |
| ვებგვერდი | www.prioritypass.com – პროგრამის ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია პროგრამის პირობების, მათ შორის საზღაურის, PP ბარათის გამოყენებისა და დასვენების ზონების შესახებ |
| დასვენების ზონა | აეროპორტის ტერიტორიაზე ოპერატორ(ებ)ის მიერ მოწყობილი და/ან ორგანიზებული და მართული ცალკე გამოყოფილი ადგილი, ოთახი და/ან სხვა სივრცე, რომელიც, როგორც წესი, განკუთვნილია პროგრამის მონაწილეთა მისაღებად და, შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვის პირობით, მათთვის მომსახურების და გასაწევად. დასვენების ზონების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე |
| მომსახურების ღირებულება | დასვენების ზონაში კლიენტის მიერ მიღებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები |
| ოპერატორი პროგრამა | მესამე პირი , რომელიც მართავს დასვენების ზონას PPL-ის მიერ ორგანიზებული და დანერგული პროგრამა , რომელიც მის მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, შევიდნენ დასვენების ზონებში და სათანადო პროცედურებისა და წესების დაცვის პირობით ისარგებლონ შესაბამისი მომსახურებით |
| PPL | PRIORITY PASS LIMITED მისამართი: ინგლისი, SW6 5NJ, ლონდონი, ფულჰემ როუდ 520 |
| Priority Pass | წარმოადგენს აეროპორტებში VIP მოსაცდელელების (ე.წ. ლაუნჯების) პროგრამას, რომელიც პარტნიორი კომპანიების (VIP ლაუნჯების ოპერატორების) მეშვეობით ემსახურება პროგრამაში ჩართულ წევრებს (კლიენტებს) |
| მომსახურება | ოპერატორის ვალდებულება, კლიენტს მისცეს დასვენების ზონაში ყოფნის შესაძლებლობა |
| Visa Infinite ბარათი | ბარათი , რომელიც ბანკის გადაწყვეტილებით გადაეცემა კლიენტების იმ კატეგორიას, რომელიც აკმაყოფილებს ბანკის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს |
| Visa Platinum ბარათი | ბარათი , რომელიც ბანკის გადაწყვეტილებით გადაეცემა კლიენტების იმ კატეგორიას, რომელიც აკმაყოფილებს ბანკის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს |
- 1.2. თუ **კლიენტი** სარგებლობს **ბანკის** პირადი ბანკირის მომსახურებით და/ან აკმაყოფილებს **ბანკის** მიერ დადგენილ მოთხოვნებს, წინამდებარე **პირობების** გათვალისწინებით **ბანკი** მას აძლევს **პროგრამაში** ჩართვის შესაძლებლობას.

- 1.3. **კლიენტი** აცხადებს, რომ:
- 1.3.1. მისთვის ცნობილი და ნათელია, რომ **ბანკი** არ კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს **კლიენტის** (მისი თანხმობები პირის) **დასვენების ზონაში** შემგება, აგრეთვე, **დასვენების ზონაში კლიენტის** (მისი თანხმობები პირის) მიერ **დამატებითი მომსახურების** მიღება. **ბანკის** ერთადერთი ვალდებულებაა, წინამდებარე **პირობებით** დადგენილი ვადის განმავლობაში და/ან **Visa Infinite ბარათის/Visa Platinum ბარათის** მოქმედების და/ან იმ **მომსახურების** (რომლის საფუძველზეც **კლიენტზე** გაიცა **PP ბარათი**) მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს **პროგრამაში კლიენტის** ჩართვა/გაწევრიანება მისთვის **PP ბარათის** გადაცემის გზით;
- 1.3.2. **კლიენტი** გაეცნო **პროგრამის** პირობებს, მათ შორის, **ვებგვერდზე** არსებულ ინფორმაციას;
- 1.3.3. **კლიენტისთვის** ცნობილია და ნათელია, რომ **ბანკს კლიენტის** მიმართ არ აქვს და არ წარმოემოხა რაიმე სახის ვალდებულება **PPL-ის** და/ან **ოპერატორის** მიერ **კლიენტის** მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე/არაჯეროვან შესრულებაზე; **პროგრამაში** მონაწილეობის პირობები მოცემულია **ვებგვერდზე**.
- 1.4. **კლიენტი** ვალდებულია, **ბანკის** შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან **ბანკის** მიერ მითითებულ ვადაში ან ამგვარი ვადის არარსებობის შემთხვევაში 5 (ხუთი) **საბანკო დღეში ბანკს** წარუდგინოს ნებისმიერი მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტი, მათ შორის, **კლიენტის** ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, ინფორმაცია **დასვენების ზონაში კლიენტის** (მისი თანხმობები პირის) შესვლის შესახებ.
- 1.5. **მომსახურების ღირებულება** განისაზღვრება **PPL-ის** მიერ. **მომსახურების ღირებულების** შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოძიებული იყოს **ვებ-გვერდზე**.
- 1.6. იმ შემთხვევაში, თუ **PP ბარათის** მიღების სურვილს გამოთქვამს **Visa Platinum ბარათის** მფლობელი **კლიენტი**, **ბანკს** უფლება აქვს, შეცვალოს მისი **ანგარიშის** მომსახურების **საკომისიო**. ამასთან, **საკომისიო** გადახდილი უნდა იყოს **ბანკის** მიერ დადგენილ ვადაში.
- 1.7. **PPL-თან** არსებული ხელშეკრულების, აგრეთვე, **პროგრამის** პირობების შესაბამისად, **PPL-ის** მიერ **ბანკისათვის** წარმოდგენილი **ანგარიშის** საფუძველზე **ბანკი PPL-ს** გადაუხდის **მომსახურების ღირებულებას**, რომელიც **კლიენტმა** უნდა აანაზღაუროს ამ მუხლით დადგენილი წესით.
- 1.8. **კლიენტი** კისრულობს ვალდებულებას, სრულად აუნაზღაუროს **ბანკს** ამ უკანასკნელის მიერ **PPL-ისათვის** გადახდილი **მომსახურების ღირებულება**. ამ მიზნით **კლიენტი** თანახმაა და წინამდებარე **პირობებით ბანკს** აძლევს დავალებას, **ბანკში** გახსნილი მისი ნებისმიერი **ანგარიშიდან**, მისი მხრიდან **დამატებითი თანხმობის** გარეშე ჩამოჭრას **საზღაურის** ანაზღაურებისათვის საჭირო თანხა.
- 1.9. **კლიენტს** უფლება აქვს, **ბანკისაგან** მოითხოვოს ინფორმაცია გადახდილი **მომსახურების ღირებულების** ოდენობის შესახებ.
- 1.10. იმ შემთხვევაში, თუ **ბანკის** მიერ **PPL-ისათვის** გადახდილია **მომსახურების ღირებულება**, ხოლო **ანგარიშზე/ანგარიშებზე** არ არის საკმარისი თანხა შესაბამისი **მომსახურების ღირებულების** ასანაზღაურებლად, **კლიენტი** კისრულობს ვალდებულებას, **ბანკის** შესაბამისი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) **დღის** ვადაში **ბანკის** სასარგებლოდ შეასრულოს შესაბამისი **ანგარიშსწორება**.
- 1.11. თუ **ბანკის** და/ან **PPL-ის** მიერ სხვაგვარად არ იქნება განსაზღვრული, **PP ბარათი** გაიცემა 2 წლის ვადით.
- 1.12. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გასვლის ან სხვა საფუძველის გამო გაუქმდება **Visa Infinite ბარათი/ Visa Platinum ბარათი** და/ან აღარ იარსებებს ის საფუძველი, რის შედეგადაც **კლიენტზე** გაიცა **PP ბარათი**, **ბანკს** წარმოექმნება უფლება, **კლიენტის** გაფრთხილების თუ თანხმობის გარეშე გააუქმოს **PP ბარათი**. ამასთან, მიუხედავად **PP ბარათის** ვადის გასვლის ან გაუქმებისა, **კლიენტი** ვალდებულია, შეასრულოს ამ მუხლის 1.5-1.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები; ამასთან, თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებით **ბანკს** წარმოექმნება რაიმე ხარჯი, დაეკისრება თანხის, მათ შორის, ჯარიმის გადახდა ან მიაღება რაიმე სახის, მათ შორის, არამატერიალური ზიანი, **კლიენტს** წარმოექმნება ვალდებულება, **ბანკს** გადაუხადოს შესაბამისი თანხა და აუნაზღაუროს ზიანი.

**დანართი
მარტივი დაგროვების სერვისი**

წინამდებარე დანართი დადებულია ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობების საფუძველზე (რომელზეც კლიენტი მიერთებულია ან ხელმოწერილია კლიენტის მიერ) და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. თუკი ცალსახად სხვაგვარად არ იქნა განსაზღვრული წინამდებარე დანართით, ამ დანართში და ფიზიკური პირებისათვის არსებული საბანკო მომსახურების სტანდარტული პირობებში მოცემულ ტერმინებს გააჩნიათ ერთი და იგივე მნიშვნელობა.

1.1. წინამდებარე დანართის მიზნებისათვის ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

მარტივი დაგროვების სერვისი	საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას დააგროვოს დეპოზიტ(ებ)ზე თანხა წინასწარ განსაზღვრული დაგროვების სქემის შესაბამისად
დაგროვების სქემა	განაცხადის საფუძველზე კლიენტის მიერ შერჩეული თანხის დაგროვების მეთოდი, რომელიც შეიძლება იყოს ორი სახის: დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით და დაგროვების სქემა თანხის დამრგვალებით
დაგროვების სქემა ფიქსირებული ერთეულით	თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრანზაქციის ვალუტით ავტომატურად იქნება გადატანილი შერჩეულ დეპოზიტზე
დაგროვების სქემა თანხის დამრგვალებით	თანხის დაგროვების მეთოდი, როდესაც ყოველი ტრანზაქციის შესრულების შემდეგ ტრანზაქციის თანხა დამრგვალება უახლოეს ჯერადამდე ტრანზაქციის ვალუტით, ხოლო ტრანზაქციის თანხასა და დამრგვალებულ თანხას შორის სხვაობის გადატანა მოხდება შერჩეულ დეპოზიტზე
დასაგროვებელი თანხა	თანხა, რომელიც დაგროვების სქემის ფარგლებში გადატანილი უნდა იქნეს შერჩეულ დეპოზიტზე. კერძოდ: – განაცხადში მითითებული ფიქსირებული ერთეულის შესაბამისი თანხა ტრანზაქციის ვალუტში; – ტრანზაქციის თანხასა და უახლოეს ჯერადამდე დამრგვალებულ თანხას შორის სხვაობა
დეპოზიტი	ანგარიში, რომელზეც აღირიცხება მოთხოვნამდე ან გარკვეული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომელზეც, ბანკში მოქმედი ინსტრუქციის თანახმად, დაშვებულია თანხის დამატება. ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი დეპოზიტი მოიცავს საბავშვო ანაბარსაც
ტრანზაქცია	ბარათით, როგორც საგადახდო საშუალებით, საქონლის ან მომსახურების შეძენისთვის გამყიდველს/მომსახურების ობიექტს და ბარათის მფლობელს შორის განხორციელებული დებეტური ოპერაცია. ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი ტრანზაქცია არ მოიცავს კონვერტაციას, კლიენტის ანგარიშებს შორის თანხის გადარიცხვასა და ბანკის სალაროდან თანხის გამოტანას
შერჩეული დეპოზიტი	განაცხადში მითითებული დეპოზიტი, რომელზეც გადატანილი უნდა იქნეს დასაგროვებელი თანხა
ჯერადი	ყველა ის რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა განაცხადში მითითებულ დამრგვალების რიცხვზე
უახლოესი ჯერადი	ტრანზაქციის თანხის მომდევნო უახლოესი ჯერადი

1.2. მარტივი დაგროვების სერვისის გააქტიურების მიზნით კლიენტი უნდა გამოცხადდეს ბანკში და/ან ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით შეავსოს განაცხადი.

- 1.3. **მარტივი დაგორვების სერვისის** გააქტიურების თარიღი, ვადა, **დაგორვების სქემა** და სხვა დეტალები განისაზღვრება **განაცხადით**.
- 1.4. **მარტივი დაგორვების სერვისის** გააქტიურება დასაშვებია მხოლოდ იმ **ანგარიშ(ებ)ზე**, რომელზეც რეგისტრირებულია **ბარათი**. **განაცხადით კლიენტი** ირჩევს იმ **ანგარიშ(ებ)ს**, რომელზეც არ სურს **მარტივი დაგორვების სერვისის** გააქტიურება. **კლიენტის** ყველა სხვა **ანგარიშზე მარტივი დაგორვების სერვისი** აქტიურდება ავტომატურად.
- 1.5. **მარტივი დაგორვების სერვისის** გააქტიურების შემდეგ **კლიენტის** მიერ გახსნილ ყველა ახალ **ანგარიშზე** ავტომატურად გააქტიურდება **მარტივი დაგორვების სერვისი**. ამასთან, **კლიენტი** უფლებამოსილია ახალი **ანგარიშის** გახსნისას მოითხოვოს, რომ ამ **ანგარიშზე** არ იქნას გააქტიურებული **მარტივი დაგორვების სერვისი**. თუ, **კლიენტს** გააქტიურებული აქვს რამდენიმე **დაგორვების სქემა** ყოველ ახალ გახსნილ **ანგარიშზე** ავტომატურად გააქტიურდება ყველა არსებული **დაგორვების სქემა**.
- 1.6. **კლიენტი** უფლებამოსილია ერთ **ანგარიშზე** და/ან სხვადასხვა **ანგარიშზე** გააქტიუროს რამდენიმე **დაგორვების სქემა**. ამასთან, რამდენიმე **დაგორვების სქემის** გააქტიურებისას, **ანგარიშზე** ყველა მათგანის შესასრულებლად საკმარისი ნაშთის არარსებობის შემთხვევაში **დეპოზიტზე დასაგროვებელი თანხის** გადატანა მოხდება სქემით – **დაგორვების სქემა ფიქსირებული ერთეულით**.
- 1.7. **ტრანზაქციის** შესრულების შემდეგ **დასაგროვებელი თანხის შერჩეულ დეპოზიტზე** გადატანა მოხდება სრულად. იმ შემთხვევაში თუ **ტრანზაქციის** შესრულების შემდეგ **ანგარიშზე** არსებული ნაშთი **დასაგროვებელ თანხაზე** ნაკლები იქნება, **დასაგროვებელი თანხის** ნაწილობრივად გადატანა და/ან **ტრანზაქციის** დამახსოვრება (მოგვიანებით გადატანა) არ მოხდება.
- 1.8. იმ შემთხვევაში თუ **განაცხადი** ითვალისწინებს ერთზე მეტ **შერჩეულ დეპოზიტს** – **დასაგროვებელი თანხა** პროპორციულად გადანაწილდება **შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე**, ხოლო **განაცხადით** განსაზღვრული რომელიმე **შერჩეული დეპოზიტის** დახურვის შემთხვევაში **დასაგროვებელი თანხა** პროპორციულად გადანაწილდება დარჩენილ (მოქმედ) **შერჩეულ დეპოზიტ(ებ)ზე**. ამასთან, თუ **შერჩეული დეპოზიტის** ვალუტა განსხვავებულია **ტრანზაქციის** ვალუტისგან, **ბანკი** უფლებამოსილია, კონვერტაცია გააკეთოს კონვერტაციის მომენტში **ბანკში** არსებული კომერციული კურსის შესაბამისად და კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხა გადაიტანოს **შერჩეულ დეპოზიტზე**. თუ **კლიენტს** არ აღმოაჩნდა საკმარისი თანხა **ანგარიშზე** იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა **ტრანზაქცია** ბანკი უფლებამოსილია არ შეასრულოს **დასაგროვებელი თანხის** გადატანა **შერჩეულ დეპოზიტზე**.
- 1.9. იმ შემთხვევაში თუ **განაცხადით** არ არის განსაზღვრული **მარტივი დაგორვების სერვისის** ვადა, **ბანკის** მიერ **მარტივი დაგორვების სერვისის** გაუქმება მოხდება ყველა იმ **ანგარიშის** დახურვისთანავე, რომელზეც გააქტიურებულია **მარტივი დაგორვების სერვისი** და/ან ყველა იმ **შერჩეული დეპოზიტის** დახურვისთანავე, რომელზე თანხის დაგორვების მიზნითაც გააქტიურებულია **მარტივი დაგორვების სერვისი**.
- 1.10. **დასაგროვებელი თანხის შერჩეულ დეპოზიტზე** გადატანა მოხდება **ტრანზაქციის** დასრულებისა და საბანკო ამონაწერში ასახვის შემდეგ.

დანართი
ბარათის განაღდების და ხარჯვის ლიმიტები

**VISA ELECTRON /
MASTERCARD MAESTRO CIRRUS**

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 2000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში განაღდების დღიური ლიმიტი, 3000 ლარი,
ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 3000 ლარი

**VISA CLASSIC /
MASTERCARD STANDART**

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 3000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში
განაღდების დღიური ლიმიტი, 6000 ლარი, ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 4000 ლარი

**VISA GOLD /
MASTERCARD GOLD**

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 10000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში განაღდების დღიური ლიმიტი, 20000 ლარი,
ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 20000 ლარი

VISA PLATINUM DEBIT

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 10000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში
განაღდების დღიური ლიმიტი, ულიმიტო,
ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 20000 ლარი

VISA PLATINUM Credit

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 5000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში განაღდების დღიური ლიმიტი, ულიმიტო,
ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 20000 ლარი

VISA INFINITE

ბანკომატში განაღდების დღიური ლიმიტი, 20 000 ლარი,
სს „ბანკ რესპუბლიკის“ და სხვა ბანკების ფილიალებში განაღდების დღიური ლიმიტი, 50 000,
ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი, 50 000 ლარი

- განაღდების ლიმიტები მოქმედებს როგორც სს „ბანკ რესპუბლიკის“ ასევე ნებისმიერი სხვა ბანკის ბანკომატიდან განაღდების შემთხვევაში.

დანართი
საგადახდო დავალების შესრულებისთვის წარმოსადგენი ინფორმაცია

- 1. გადარიცხვები ბანკის სისტემის გარეთ:**
 - გადამხდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - მიმღების დასახელება (სახელი გვარი ან საფირმო სახელწოდება);
 - მიმღების ანგარიშის ნომერი (IBAN),
 - მიმღების ბანკის დასახელება
 - მიმღები ბანკის კოდი
 - გადახდის ოპერაციის დანიშნულება
 - მესამე პირის სასარგებლოდ გადახდის შემთხვევაში : ა) იმ პირის დასახელება ვის მაგივრადაც ხდება გადახდა; ბ) პირის საიდენტიფიკაციო კოდი და/ან ნებისმიერი სხვა იდენტიფიკატორი
- 2. გადარიცხვები სახელწიფო ხაზინაში:**
 - გადამხდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - სახელმწიფო ხაზინის კოდი;
 - მესამე პირის სასარგებლოდ გადახდის შემთხვევაში : ა) იმ პირის დასახელება ვის მაგივრადაც ხდება გადახდა; ბ) პირის საიდენტიფიკაციო კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 3. გადარიცხვები ბანკის სისტემის ფარგლებში:**
 - გადამხდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - მიმღების დასახელება (სახელი გვარი ან საფირმო სახელწოდება);
 - მიმღების ანგარიშის ნომერი (IBAN),
 - გადახდის ოპერაციის დანიშნულება
 - მესამე პირის სასარგებლოდ გადახდის შემთხვევაში : ა) იმ პირის დასახელება ვის მაგივრადაც ხდება გადახდა; ბ) პირის საიდენტიფიკაციო კოდი და/ან ნებისმიერი სხვა იდენტიფიკატორი
- 4. კომუნალური და სხვა გადახდები:**
 - გადამხდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ქვითარი, გადამხდელის აბონენტის ნომერი ან სხვა იდენტიფიკატორი;